NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

“ ხელოვნებათმცოდნეობის” საბაკალავრო პროგრამა
(უმაღლესი განათლების VI საფეხური)
“სახვითი ხელოვნების” საბაკალავრო პროგრამა
(უმაღლესი განათლების VI საფეხური)
“კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის” სამაგისტრო პროგრამა
(უმაღლესი განათლების VII საფეხური)
“სახვითი ხელოვნების” სამაგისტრო პროგრამა
(უმაღლესი განათლების VII საფეხური)
“ხელოვნებათმცოდნეობის” სადოქტორო პროგრამა
(უმაღლესი განათლების VIII საფეხური)

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 2023 წლის 18-20 სექტემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2023 წლის 29 ნოემბერი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სსიპ
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
ინსტიტუციის სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	რამუნე ბალევიჩიუტე - ლიეტუვის მუსიკისა და თეატრის აკადემია, ლიეტუვა
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ლევან ხარაზიშვილი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ლეილა გრიგოლია, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიგა ხოსიტაშვილი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	სოსო გაზდელიანი - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3	პროგრამა 4	პროგრამა 5
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ხელოვნებთმ ცოდნეობა	სახვითი ხელოვნება	კულტურულ ი მემკვიდრეობ ა და თანამედროვ ეობა	სახვითი ხელოვნება	ხელოვნებათმცოდნეობა
უმაღლესი განათლების საფეხური	აირჩიეთ შესაბამისიI	II	II.	II.	III.
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ხელოვნებათ მცოდნეობის ბაკალავრი	სახვითი ხელოვნების ბაკალავრი	ხელოვნებათ მცოდნეობის მაგისტრი	სახვითი ხელოვნების მაგისტრი	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0213.1.5 ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათ მცოდნეობა)	0213.1.1 სახვითი ხელოვნება	0213.1.5 ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათ მცოდნეობა)	0213.1.1 სახვითი ხელოვნება	0213.1.5 ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა)
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[1]					
სწავლების ენა	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240	240	120	120	40
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით	აკრედიტებუ ლია, 198, 28/10/2011	აკრედიტებუ ლია#199 14.1 2.2011	აკრედიტებუ ლია, 198, 28/10/2011	აკრედიტებუ ლია, 235, 28/10/2011	აკრედიტებული, 232, 18/07/2012

1 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)					

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ[2]
  ხელოვნების კლასტერში გაერთიანებულია სამივე დონის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) ხუთი პროგრამა: 1. „ხელოვნებათმცოდნეობის“ საბაკალავრო პროგრამა; 2. „სახვითი ხელოვნების“ საბაკალავრო პროგრამა; 3. „კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის“ სამაგისტრო პროგრამა; 4. „სახვითი ხელოვნების“ სამაგისტრო პროგრამა; 5. „ხელოვნებათმცოდნეობის“ სადოქტორო პროგრამა. ხუთივე პროგრამას აერთიანებს ერთი მიზანი - ხელოვნების დარგების თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გადაცემა.

  „ხელოვნებათმცოდნეობისა“ და „სახვითი ხელოვნების“ საბაკალავრო პროგრამები განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული ცენტრის მიერ აკრედიტირებული იყო 2011 წელს, „კულტურული მემკვიდრეობისა და თანამედროვეობის“, „სახვითი ხელოვნების“ სამაგისტრო პროგრამები და „ხელოვნებათმცოდნეობის“ სადოქტორო პროგრამა - 2012 წელს. შეფასებისთვის მომზადებისას, უნივერსიტეტმა გარკვეული ცვლილებები შეიტანა პროგრამების სტრუქტურასა და შინაარსში. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, (1) განხორციელდა პროგრამების მიზნების ხელახალი შეფასება და სწავლის შედეგების დაზუსტება; (2) დაინერგა ახალი კურსები; (3) განახლდა სილაბუსები ახალი ლიტერატურისა და სწავლების ახალი მეთოდების გამოყენებით; (4) განხორციელდა გამოყენებული ასპექტები.

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

  ადგილზე ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 18 - 20 სექტემბერს. ამ სამი დღის განმავლობაში ექსპერტები შეხვდნენ და ჩაატარეს გასაუბრებები შემდეგ სამიზნე ჯგუფებთან: ადმინისტრაცია, თვითშეფასების გუნდი, სახვითი ხელოვნების (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა), ხელოვნებათმცოდნეობის (ბაკალავრიატი, დოქტორანტურა) და კულტურული მემკვიდრეობისა და თანამედროვეობის (მაგისტრატურა) პროგრამების ხელმძღვანელები, აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტები, დაინტერესებული მხარეები, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულები, ხარისხის უზრუნველყოფის ოფისი, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები. მოხდა მთავარი შენობის ობიექტების დათვალიერება. მოგვაწოდეს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების რამდენიმე ნიმუში. ადგილზე ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული, უნივერსიტეტის ყველა წარმომადგენელმა გამოთქვა თანამშრომლობის სურვილი.
  აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების ანგარიშის ტექსტი საკმაოდ ლაკონურია და საჭირო გახდა დამატებითი ინფორმაციის მოწოდება. მიუხედავად იმისა, რომ ადგილზე ვიზიტის დროს უნივერსიტეტმა რამდენიმე მოთხოვნილი დოკუმენტი მიაწოდა ექსპერტთა ჯგუფს, გარკვეული ინფორმაცია ინგლისურ ენაზე მაინც არ იყო წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფს განსაკუთრებით გაუჭირდა ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის შეფასება, რადგან ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არცერთი დისერტაცია არ იყო დაცული და შესაბამისად - არც მასალა იყო წარმოდგენილი.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა:

[2] პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1. პროგრამის მიზნები - ყველა პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, გარდა პროგრამა 5- ისა, რომელიც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები - ყველა პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი - ყველა პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

1,4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - ყველა პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან გარდა პირველი პროგრამისა, რომელიც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

1.5. სასწავლო კურსი/ საგანი - ყველა პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ყველა პროგრამა მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - ყველა პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება - ყველა პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2.3. სწავლება- სწავლის მეთოდები - ყველა პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2.4. სტუდენტების შეფასება - ყველა პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, გარდა პროგრამა 5- ისა, რომელიც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

ყველა პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები - ყველა პროგრამა ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა - ყველა პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

4.სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

ყველა პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, გარდა პროგრამა 2- სა, რომელიც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

4.1. ადამიანური რესურსი - ყველა პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია - ყველა პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება - ყველა პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

4.4. მატერიალური რესურსი - ყველა პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, გარდა პროგრამა 2- სა, რომელიც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

4.5. პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა - ყველა პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი ყველა პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება - ყველა პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

5.2. გარე ხარისხის შეფასება - ყველა პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება - ყველა პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- რეკომენდაციები:

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1. პროგრამის მიზნები

პროგრამა 1 (ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა)
რეკომენდებულია პროგრამის მიზნების ხელახალი ფორმულირება ისე, რომ ისინი ითვალისწინებდეს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს.
რეკომენდებულია პროგრამის მიზნების ხელახალი ფორმულირება ისე, რომ ისინი უფრო სპეციფიური და კონკრეტული გახდეს.
პროგრამა 2 (სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა)
რეკომენდებულია პროგრამის მიზნების ხელახალი ფორმულირება ისე, რომ ისინი უფრო სპეციფიური და კონკრეტული გახდეს.
პროგრამა 3 (კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის სამაგისტრო პროგრამა)
რეკომენდებულია პროგრამის მიზნების გადახედვა ისე, რომ გამოვლინდეს პროგრამის ინდივიდუალურობა.
მიზნების სხვადასხვა განმარტებების კონცენტრირება მთავარ მიზნებში.
პროგრამა 4 (სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა)
რეკომენდებულია პროგრამის მიზნების ხელახალი ფორმულირება ისე, რომ ისინი უფრო სპეციფიური და კონკრეტული გახდეს.

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:
რეკომენდებულია სწავლის შედეგების განახლება, რაც ტრანსფერული უნარების განვითარებას გულისხმობს.
რეკომენდებულია უზრუნველყოფილ იქნას სწავლის შედეგების შესაბამისობა შრომის ბაზრის საჭიროებებთან.
პროგრამა 4 (სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა)
რეკომენდებულია ფორმულირების გადახედვა, რათა დავრწმუნდეთ, რომ სწავლის შედეგები სწორ კატეგორიას მიეკუთვნება (ცოდნა ან უნარები).
რეკომენდებულია კვლევის კომპონენტის უფრო მკაფიო ასახვა უნარების ნაწილში.
პროგრამა 5 (ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა)
რეკომენდებულია ფორმულირების გადახედვა, რათა დავრწმუნდეთ, რომ სწავლის შედეგები სწორ კატეგორიას მიეკუთვნება (ცოდნა ან უნარები).

1,4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა 3 (კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის სამაგისტრო პროგრამა)
რეკომენდებულია სტუდენტების სურვილების გათვალისწინება და პროგრამაში პრაქტიკული საველე სამუშაოების დამატება.
რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომისთვის თანამედროვე კვლევის მეთოდოლოგიისა და სპეციფიკის დაზუსტება და განსაზღვრა.
პროგრამა 5 (ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა)
რეკომენდებულია დაზუსტდეს და განისაზღვროს თანამედროვე კვლევის მეთოდოლოგია და სპეციფიკა სადოქტორო დისერტაციისთვის.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა უნდა განისაზღვროს და დაზუსტდეს პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე.

რეკომენდებულია, რომ აკადემიურმა პერსონალმა და ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელმა ერთად იმუშაონ და შეიმუშაონ სადოქტორო დისერტაციის შუალედური ვადის განრიგი.

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

პროგრამა 1 (ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა)

რიდერების გაკეთება

პროგრამა 2 (სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა)

ხატვის და ფერწერის აღჭურვილობა საჭიროებს განახლებას.

პროგრამა 3 (კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის სამაგისტრო პროგრამა)

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა და დაზუსტება.

პროგრამა 4 (სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა)

ხატვის და ფერწერის ინსტრუმენტები საჭიროებს განახლებას.

პროგრამა 5 (ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა)

რეკომენდებულია სავალდებულო უცხოენოვანი ლიტერატურისა და დამატებითი ლიტერატურის განახლება სილაბუსში „სწავლის/ სწავლების მეთოდები და სტრატეგიები“.

რეკომენდებულია „კვლევითი პროექტი I“ და „კვლევითი პროექტი II“ სილაბუსებში კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა და დაზუსტება დარგის კვლევის საგნის მიხედვით.

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

გაიზარდოს სტუდენტების მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებებში საზღვარგარეთ.

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კრიტიკულ ანალიზს უნდა დაემატოს სწავლების მეთოდოლოგია.

უნდა დაემატოს მეტი პრაქტიკული საველე სამუშაოები.

2.4. სტუდენტის შეფასება

პროგრამა 1 (ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდებულია სტუდენტმა დროულად მიიღოს ინფორმაცია შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე მიღებული შეფასების შესახებ, რათა გონივრულ ვადაში გაასაჩივროს/ გააუმჯობესოს შეფასება. გარდა ამისა, რეკომენდებულია პედაგოგმა კომენტარის სახით მიუთითოს ის ხარვეზები, რაც დაბალი ქულის საფუძველი გახდა.

პროგრამა 2 (სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდებულია სტუდენტმა დროულად მიიღოს ინფორმაცია შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე მიღებული შეფასების შესახებ, რათა გონივრულ ვადაში გაასაჩივროს/ გააუმჯობესოს შეფასება. გარდა ამისა, რეკომენდებულია პედაგოგმა კომენტარის სახით მიუთითოს ის ხარვეზები, რაც დაბალი ქულის საფუძველი გახდა.

პროგრამა 3 (კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდებულია სტუდენტმა დროულად მიიღოს ინფორმაცია შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე მიღებული შეფასების შესახებ, რათა გონივრულ ვადაში გაასაჩივროს/ გააუმჯობესოს შეფასება. გარდა ამისა, რეკომენდებულია პედაგოგმა კომენტარის სახით მიუთითოს ის ხარვეზები, რაც დაბალი ქულის საფუძველი გახდა.

პროგრამა 4 (სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები: რეკომენდებულია სტუდენტმა დროულად მიიღოს ინფორმაცია შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე მიღებული შეფასების შესახებ, რათა გონივრულ ვადაში გაასაჩივროს/ გააუმჯობესოს შეფასება. გარდა ამისა, რეკომენდებულია პედაგოგმა კომენტარის სახით მიუთითოს ის ხარვეზები, რაც დაბალი ქულის საფუძველი გახდა.

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები
კლასტერის საერთო რეკომენდაციები:
რეკომენდებულია ადმინისტრაციამ შეძლებისდაგვარად ოპერატიულად უპასუხოს სტუდენტების წერილებს; გარდა ამისა, შეჩერებული სტატუსის მქონე და დამატებითი სემესტრის სტუდენტებს დროულად მიაწოდოს ინფორმაცია მნიშვნელოვანი თარიღების შესახებ;
რეკომენდებულია გაძლიერდეს საერთაშორისო მობილობა და, შეძლებისდაგვარად, მეტი სტუდენტი ჩაერთოს გაცვლით პროგრამებში;
რეკომენდებულია სტუდენტების მრავალკომპონენტიანი გამოკითხვის გაუმჯობესება და ჩატარება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების პრობლემურ მონაკვეთებს. საგნობრივი გამოკითხვების გარდა, მათი მასშტაბები უნდა გაიზარდოს ზოგად საუნივერსიტეტო დონეზე; ასევე, მჭიდრო კავშირი უნდა შენარჩუნდეს კურსდამთავრებულებთან, მათ შორის გამოკითხვების დონეზე.

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
კლასტერის საერთო რეკომენდაციები:
რეკომენდებულია მეტი ყურადღება მიექცეს საკვალიფიკაციო ნაშრომებს, განსაკუთრებით აკადემიური და სამეცნიერო სტანდარტების კუთხით, რათა ნაშრომი მოიცავდეს: სანდო წყაროებს, აკადემიურ სტილს, მოწესრიგებულ ბიბლიოგრაფიას, სამეცნიერო ტექსტის არქიტექტონიკას;
რეკომენდებულია მკაფიოდ განისაზღვროს ვადები დოქტორანტებისთვის, რათა მათ დროულად წარმოადგინონ როგორც სემესტრული კოლოქვიუმები, ასევე სადისერტაციო ნაშრომი.
პროგრამა 3 (კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა - მაგისტრატურა):
რეკომენდებულია პროგრამაში ჩაშენდეს სასწავლო კურსი - „აკადემიური წერა მაგისტრანტებისთვის“, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ამ მიმართულებით დისერტაციაზე მუშაობის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები;
პროგრამა 4 (სახვითი ხელოვნება - მაგისტრატურა):
რეკომენდებულია პროგრამაში ჩაშენდეს სასწავლო კურსი - „აკადემიური წერა მაგისტრანტებისთვის“, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ამ მიმართულებით დისერტაციაზე მუშაობის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები;

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
კლასტერის საერთო რეკომენდაციები:
გაძლიერდეს პერსონალის მონაწილეობა კვლევით და შემოქმედებით პროექტებში.

4.4 მატერიალური რესურები
პროგრამა 2 , სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა
რეკომენდირებულია, რომ ყველა დანადგარი და სხვა აღჭურვილობა აქტიურად იქნას გამოყენებული სწავლების პროცესში, რათა კიდევ უფრო გაძლიერდეს სასწავლო პროცესი.

- რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
1.1. პროგრამის მიზნები
კლასტერის საერთო რჩევები:
სასურველია ჩატარდეს უცხოეთში არსებულ უნივერსიტეტებში განხორციელებული მსგავსი პროგრამების შედარებითი ანალიზი, და ამ ანალიზის შედეგების გათვალისწინება მიზნების ჩამოყალიბებისას.
1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
კლასტერის საერთო რჩევები:

სასურველია, რომ ყველა დაინტერესებული მხარე ჩართული იყოს სწავლის შედეგების განვითარებაში.
პროგრამა 2 (სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა)
სასურველია გადაიხედოს სწავლის შედეგი „აღწერს და განასხვავებს ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარების ძირითად ეტაპებს, კონცეფციებს და მეთოდებს, ფილოსოფიის, ისტორიის, ხელოვნების ძირითად ამოცანებს, ეტაპებს, ფაქტებს და მოვლენებს“, და უფრო რეალისტური და მიღწევადი გახდეს.
პროგრამა 3 (კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის სამაგისტრო პროგრამა)
სასურველია II მოდელის - ახალი და თანამედროვე ხელოვნების - მიზნების უფრო მკაფიო ასახვა ზოგად სასწავლო შედეგებში, რადგან ისინი თანამედროვე ხელოვნების საკითხებს უკავშირდება.
1,4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა 2 (სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა)
სასურველია, გაიზარდოს ძირითადი საგნების საათები და დაემატოს პლასტიკური ანატომია.
1.5. სასწავლო კურსი/საგანი
კლასტერის საერთო რჩევები:
სასურველი იქნება, არჩევით კურსებს აკადემიური წერაც დაემატოს.
საასურველია საველდებულო კურსების საგნების დამატება ინგლისურ ენაზე დარგის ტერმინოლოგიის გათვალისწინებით.

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
კლასტერის საერთო რჩევები:
სასურველია კულტურულ, საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობის გააქტიურება პროფესიული პრაქტიკის მეტი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად.
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები
კლასტერის საერთო რჩევები:
სასწავლო პროცესისთვის სასურველი იქნება, თუ განისაზღვრება კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგია, როგორიცაა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება კვლევის პროცესში და ხელოვნური ინტელექტის ჩართვა.

3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
3.1სტუდენტების კონსულტირება და მხარდაჭერის სერვისები
სასურველია გაიზარდოს და გახშირდეს სტუდენტებისათვის სასარგებლო აქტივობები/ღონისძიებები როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო დონეზე.

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა
4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია
კლასტერის საერთო რჩევები:
სასურველია ხელმძღვანელებმა გააძლიერონ თავიანთი კომპეტენციები კვლევის უახლესი მეთოდებისა და მეთოდოლოგიების ათვისებაში და უფრო აქტიურები იყვნენ საერთაშორისო კვლევის ასპარეზზე.
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
კლასტერის საერთო რჩევები:
სასურველია, უფრო მეტი და მრავალფეროვანი ტრენინგების ჩატარება აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის.
უნივერსიტეტმა უნდა გააფართოვოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა.
4.4. მატერიალური რესურსი:
პროგრამა 2 (სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა)
სასურველია პროგრამის აკადემიურმა პერსონალმა კრიტიკულად მიმოიხილოს სახელმძღვანელოები (რომლებიც გამოცემულია1970-1980 წლებში რუსულ ენაზე) და ამავე დროს უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნულ სახელმძღვანელოებზე წვდომა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.
პროგრამა 5 (ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა)

სასურველია, რომ კამპუსში შექმნათ დოქტორანტებისთვის ინდივიდუალური სამუშაო სივრცე , რადგან ბიბლიოთეკაში ყოფნა და სხვა სტუდენტებთან მუშაობა შეიძლება არ იყოს მაინც და მაინც რელევანტური და გამოსადეგი დოქტორანტებისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ ზოგჯერ მათ შეიძლება ჰქონდეთ ონლაინ-შეხვედრები, მათი კვლევის მონაცემების შეგროვებისას.

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

კლასტერის საერთო რჩევები:

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურობის გაზრდის მიზნით, სასურველია აკადემიურმა პერსონალმა უკუკავშირი მიიღოს წერილობითი ფორმით, როგორც დადებით, ასევე უარყოფით შემთხვევებში.

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

კლასტერის საერთო რჩევები:

სასურველია სტუდენტების გამოკითხვაში დაემატოს რამდენიმე ღია შეკითხვა. ეს შეიძლება მიმზიდველი იყოს ზოგიერთი სტუდენტისთვის, ვისაც სურს საკუთარი თავი ნარატივის საშუალებით გამოხატოს.

სასურველია დაწესებულებამ გააძლიეროს თანამშრომლობა დამსაქმებლებთან მოცემული სასწავლო პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[3]

ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა, დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის შესახებ წარმოდგენილი წერილის ყურადრებით შესწავლის შემდგომ დასკვნაში განახორციელა შემდეგი ცვლილებები:

კომპონენტი 1.5. პროფესიულ ინგლისურთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაცია ფორმულირებული იქნა რჩევის სახით.

კომპონენტი 3.1. სტუდენტების აქტივობასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაცია გადატანილ იქნა რჩევებში.

კომპონენტი 4.4. როგორც აღინიშნა, ექსპერტთა ჯგუფი ყურადრებით გაეცნო დაწესებულების პოზიციას გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. როგორც დასკვნის პროექტში იყო აღნიშნული, რეკომენდაცია არ შეეხებოდა სავალდებულო ლიტერატურას, ის ეხებოდა სასწავლო მასალას მთლიანობაში, სადაც ასევე მოიაზრებოდა დამატებითი ლიტერატურაც. საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კურსების სასწავლო მასალას წარმოადგენდა ლექტორების მიერ მომზადებული რიდერები, ხოლო დამატებით ლიტერატურად ბევრ შემთხვევაში შეთავაზებული იყო სახელმძღვანელოები რუსულ ენაზე.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დამატებითი ლიტერატურა უნდა ისე იყოს განსაზღვრული, რომ ის იყოს გამოსადეგი სტუდენტისათვის. ინტერვიუების დროს სტუდენტების და კურსდამთავრებულების უმეტესობამ აღნიშნა, რომ მათ არ ჰქონდათ რუსული ენის შესაბამისი ცოდნა, შესაბამისად ასეთი ლიტერატურის მითითებას სილაბუსებში არ აქვს აზრი. ამავე დროს სავსებით შესაძლებელია ინგლისურენოვანი გამოცემების მოძიება შესაბამისი თემატიკით და მათი ჩანაცვლება.

მიუხედავად ზემოთ მოცემული განმარტებისა ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების პოზიცია და რეკომენდაცია შეიცვალა რჩევად, ვინაიდან აქცენტი გაკეთდა მხოლოდ სავალდებულო ლიტერატურზე. შესაბამისად 4.4 კომპონენტის შეფასება „ხელოვნებათმცოდნეობის“ საბაკალავრო პროგრმის მიმართ შეიცვალა მეტწილი შესაბამისობიდან სრულ შესაბამისობაზე. მიუხედავად ამისა, რეკომენდაცია დარჩა რჩევად და ექპერტები იმედოვნებენ რომ, აკადემიური პერსონალი გაითვალისწინებს მას პროგრამის სამომავლო განვითარების მიზნით.

[3] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

• ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება[4]
2. კლასტერული შეფასება[5]

სტანდარტი/კომპონენტი	შეფასების მიდგომები:
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტის შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული

[4] შეფასების მიდგომები: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

[5] შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსები	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.
1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები ურთიერთდაკავშირებულია, ვინაიდან მათი ობიექტია ან ხელოვნების პრაქტიკა ან ხელოვნების ისტორია და თეორია. უნივერსიტეტი ცდილობს ხელოვნების პრაქტიკოსებს მიაწოდოს მყარი თეორიული ცოდნა, ხოლო ხელოვნების თეორეტიკოსებს - ძირითადი შემოქმედებითი უნარ-ჩვევები. ეს კონცეპტუალური მიმართულება განსაზღვრავს ზოგად

მიზანს მოამზადოს საკმაოდ ფართო პროფილის ვიზუალური ხელოვნების სპეციალისტი. პროგრამების კურსდამთავრებულებმა უნდა მიიღონ ის ცოდნა და უნარები, რაც მათ საშუალებას მისცემს დასაქმდნენ საჯარო სამსახურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში ან სხვადასხვა საგანმანათლებლო-კულტურულ-შემოქმდებით დაწესებულებებში მათი განათლების დონის შესაბამის პოზიციებზე. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, უნივერსიტეტის აზრით, კურსდამთავრებულთა თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა „ხელს შეუწყობს საზოგადოებაში ხელოვნების სფეროსთან დაკავშირებული ცოდნის გაცვლასა და გავრცელებას და დაეხმარება ქვეყანაში დემოკრატიული, უნივერსალური და მულტიკულტურული ღირებულებების დამკვიდრებას". კლასტერში დაჯგუფებული ყველა პროგრამის მიზნები არსებითად დაკავშირებულია ამ პროგრამების შინაარსთან და სწავლის შედეგებთან, შეესაბამება სტანდარტსა და დარგის მახასიათებლებს. თუმცა, მიზნების ზოგიერთი ფორმულირება ძალიან აბსტრაქტულია და მოკლებულია გარკვეული პროგრამის იდენტურობის განსაზღვრას. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ მიზნები ასევე შეესაბამება სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმას; თუმცა, ამ გეგმის თარგმანი არ არის ხელმისაწვდომი. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. ასევე რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. უნივერსიტეტის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია „განავითაროს უნივერსიტეტის ტრადიციები კვლევისა და ინოვაციების მეშვეობით“. ხელოვნების სფეროში, როგორც ჩანს, ინოვაცია სუსტი წერტილია, რადგან კვლევის თემებსა და მეთოდოლოგიებს დიდწილად არ მივყავართ ინოვაციებამდე.

პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს „მიაწოდოს სტუდენტებს სპეციალიზებული ცოდნა მსოფლიო და ქართული ხელოვნების ისტორიის შესახებ წინაქრისტიანული დროიდან დღემდე“; „ჩამოაყალიბოს და განავითაროს მეთოდოლოგიური უნარები სამუშაოს შესრულებისთვის პროფესიული თანამდებობიდან გამომდინარე“. პროგრამის მიზანია „მოამზადოს დარგში კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელსაც, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ექნება დარგის შესაბამისი უნარები და კომპეტენციები“. მიზნების ეს ფორმულირებები საკმაოდ აბსტრაქტულია, ისინი თავს არიდებენ იმის დასახელებას, თუ რა სახის „პროფესიული პოზიციები“ არის შესაძლებელი და კონკრეტულად როგორ სპეციალისტს ამზადებენ. მოგვიანებით, თვითშეფასების ანგარიში აკონკრეტებს, რომ პროგრამის მიზანია (1) გადაამზადოს სპეციალისტი ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სფეროში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი უნარ-ჩვევებით; (2) სალექციო კურსებისა და პრაქტიკული სწავლების საფუძველზე, მიაწოდოს სტუდენტს სათანადო ფართო ცოდნა მსოფლიო და ქართული ხელოვნების ისტორიის შესახებ; (3) გამოუმუშაოს სტუდენტებს სპეციალიზებული ტერმინოლოგიისა და მხატვრული მეთოდოლოგიის უნარები და (4) გამოუმუშაოს პროფესიულ საქმიანობაში ეთიკური ნორმების დაცვის უნარები სამართლიანობის, ტოლერანტობის, პლურალიზმისა და ობიექტურობის პრინციპებზე დაყრდნობით. ისევ და ისევ, ცნებები ზედმეტად აბსტრაქტულია იმისათვის, რომ შეფასდეს როგორც ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები, ასევე დარგისა და საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილი. გარდა ამისა, გაუგებარია რა ითვლება „თანამედროვე მოთხოვნად ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სფეროში“, რადგან არ არსებობს მტკიცებულება, რომ პროგრამის მიზნები ჩამოყალიბდა უცხოეთშ არსებული მსგავსი პროგრამების განხორციელების გათვალისწინებით.

პროგრამა 2 სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის მიზანია „მოამზადოს კონკურენტუნარიანი პრაქტიკოსი სპეციალისტი, რომელიც აღჭურვილია ჰუმანიტარული ცოდნით სახვითი ხელოვნების დარგში, თანამედროვე შრომის ბაზრისა და მხატვრული აკადემიური სივრცის საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად“. პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს სპეციალისტი, რომელიც შეძლებს „შექმნას ვიზუალური და მატერიალური კულტურის ნიმუშები“ და ამავდროულად დახვეწოს ხატვის, ფერწერისა და კომპოზიციური აზროვნების უნარები და გამოავლინოს თანამედროვე ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების ცოდსა და გაგება. არ იყო წარმოდგენილი იმის მტკიცებულება, რომ პროგრამის მიზნები ჩამოყალიბდა უცხოეთში მსგავსი პროგრამების განხორციელების გათვალისწინებით. ასევე, ვინაიდან კურსდამთავრებულთა შესაძლო დასაქმების სფეროები არ არის მითითებული, პროგრამის მიზნებში აშკარად ჩანს „პრაქტიკოს-სპეციალისტის“ პროფესიული იდენტობის ნაკლებობა, ანუ ტერმინი „პრაქტიკოსი-სპეციალისტი“ არ არის საკმარისად სპეციფიკური, რათა განსაზღვროს მომავალი კურსდამთავრებულის პროფესია.

პროგრამა 3 კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის სამაგისტრო პროგრამა

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობისა და თანამედროვეობის სამაგისტრო პროგრამის მიზანია „მოამზადოს კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებული, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე შრომის ბაზრისა და აკადემიური სივრცის ღრმა და სისტემური ცოდნით, ასევე დარგის საერთაშორისო სტანდარტებითა და მოთხოვნებით; რომელიც ფლობს კომპლექსურ ცოდნას კულტურული მემკვიდრეობის, დარგობრივი და ზოგადი ტრანსფერული უნარების შესახებ, სპეციალიზაციის სფეროს დისციპლინათაშორისი ხასიათის გათვალისწინებით”. აღსანიშნავია, რომ ფორმულირების პირველი ნაწილი რთული და შეუსაბამოა, რადგან ვერ აღწერს პროგრამის უნიკალურობას (ყველა პროგრამა ცდილობს მოამზადოს „კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებული“, რომელიც იცნობს თანამედროვე შრომის ბაზარს). შემდგომ ტექსტში უფრო კონკრეტული მიზნებია ჩამოყალიბებული, რომლებიც მოდულების მიხედვით იშლება. აღნიშნულია, რომ პროგრამის მიზნებია (1) მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება ხელოვნების ისტორიისა და თეორიის, ასევე სამუზეუმო საქმიანობის დარგში, (2) სტუდენტისთვის ღრმა და სისტემატური დარგობრივი ცოდნის გადაცემა სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული ლექციებისა და პრაქტიკული კურსების წაკითხვით (3) სტუდენტების მიერ კვლევის თანამედროვე მეთოდების დაუფლებისა და მათი პრაქტიკული გამოყენების უზრუნველყოფა კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის თვალსაზრისით; კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციასთან დაკავშირებული პროექტების განხორციელება დისციპლინათაშორისი მიდგომების გამოყენებით, (4) პროფესიულ საქმიანობაში ეთიკური ნორმების დაცვა; სამართლიანობის, ტოლერანტობის, პლურალიზმისა და ობიექტურობის პრინციპებზე დაფუძნებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კვლევისა და დაცვის სფეროში არსებული კონფლიქტური საკითხების განხილვა. ასევე, სამიდან თითოეული მოდულისთვის დადგენილია ცალკე მიზნები. მიუხედავად იმისა, რომ ეს მიზნები ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას ისახავს მიზნად პროგრამა კურსდამთავრებულ სტუდენტებში, რეკომენდებულია მიზნების სხვადასხვა დეფინიციების კონცენტრირება მთავარ მიზნებში. არ იყო წარმოდგენილი იმის მტკიცებულება, რომ პროგრამის მიზნები ჩამოყალიბდა უცხოეთში განხორციელებული მსგავსი პროგრამების გათვალისწინებით.

პროგრამა 4 სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამის მიზანია „მოამზადოს კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური პრაქტიკოსი-სპეციალისტი ფართო შემოქმედებითი დიაპაზონით, ღრმა სისტემატური ცოდნით და ერუდიციით, რაც შეესაბამება თანამედროვე შრომის ბაზარსა და აკადემიურ სივრცეს, ასევე სახვითი ხელოვნების სფეროში საერთაშორისო სტანდარტებსა და მოთხოვნებს". ეს ფორმულირება საკმაოდ ბუნდოვანია, ვინაიდან გარკვეულ ცნებებს აკლია სიცხადე, მაგალითად, „პრაქტიკოსი-სპეციალისტი“ (მოგვიანებით ნახსენებია მხოლოდ ფერწერის მხატვრული უნარები) და „საერთაშორისო სტანდარტები და მოთხოვნები“. არ იყო წარმოდგენილი იმის მტკიცებულება, რომ პროგრამის მიზნები ჩამოყალიბდა უცხოეთში განხორციელებული მსგავსი პროგრამების გათვალისწინებით. ასევე, გაუგებარია, როგორ ითვალისწინებს მიზნები ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს. მოგვიანებით დაზუსტებულია, რომ „კურსდამთავრებული უნდა ფლობდეს ვიზუალური და მატერიალური კულტურის ნიმუშის მაღალპროფესიულ დონეზე შექმნის ხელოვნებას და პრაქტიკულ-შემოქმედებითი დავალების შესრულების უნარს, როგორც ფერწერის ტრადიციული მეთოდებით, ასევე თანამედროვე შემოქმედებითი პრაქტიკისა და აზროვნების საფუძველზე“. მიზნები ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას ისახავს მიზნად პროგრამა კურსდამთავრებულებში: ფერწერის, კომპოზიციური აზროვნების და ორიგინალური მხატვრული პროექტის შექმნის უნარი, ცნებების ცოდნა და თანამედროვე ხელოვნების ძირითადი მეთოდოლოგიური მიდგომები, აგრეთვე ფილოსოფიის, ფსიქოანალიზისა და სემიოტიკის თანამედროვე ტენდენციების ცოდნა.

პროგრამა 5 ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის მიზანია „დასავლეთის საუნივერსიტეტო განათლების პრაქტიკისა და გამოცდილების შესაბამისად, მოამზადოს მაღალკვალიფიციური, მოტივირებული და პასუხისმგებლიანი ხელოვნებათმცოდნე, რომელსაც აქვს ხელოვნების ისტორიის კვლევის სფეროში უახლესი მიღწევების ცოდნა, ორიენტირებულია კულტურული მემკვიდრეობის, თანამედროვეობის ასპექტებზე და ეროვნული კულტურული იდენტობის წარმოჩენაზე“. პროგრამის მიზანია მოამზადოს მკვლევარი, რომელსაც შეუძლია „შექმნას ახალი ცოდნა ინოვაციური მიდგომების გამოყენებით, დაგეგმოს და განახორციელოს კვლევითი სამუშაოები ხელოვნების სხვადასხვა დარგში, როგორც ზოგად თეორიულ დონეზე, ასევე სპეციფიური ან/და შედარებითი კვლევები სხვადასხვა ეპოქისა და რეგიონის ძეგლებთან დაკავშირებით - უძველესი დროიდან თანამედროვე ეპოქამდე“. მიზნები ასახავს რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას ისახავს მიზნად პროგრამა კურსდამთავრებულებში: სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, მათ შორის დისციპლინათაშორისი კვლევითი პროექტების დამოუკიდებლად ორგანიზებისა და წარმართვის უნარები და მაღალრეიტინგული პუბლიკაციებისთვის სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადება; დარგის ახალ გამოწვევებზე შემოქმედებითად და დამოუკიდებლად რეაგირებისა და სფეროში არსებული რთული პრობლემების გადაჭრის გზების ძიების უნარები; უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების უნარები. მიზნებში ასევე წარმოდგენილია აკადემიურ და ადამიანურ და სამოქალაქო ღირებულებებზე დაფუძნებული ეთიკური კომპონენტი. მიზნები ასახავს საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს, თუმცა არ მოიპოვება მტკიცებულება, რომ პროგრამის მიზნები ჩამოყალიბდა უცხოეთში განხორციელებული მსგავსი პროგრამების გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები

- თსუ-ს მისია და სტრატეგიული გეგმა (ქართულად)
- მახასიათებლის დოკუმენტი სახვით ხელოვნებაში (ქართულად)
- კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს კვალიფიკაციების აღმწერი:
- https://eqe.ge/en/page/parent/787/erovnuli-kvalifikatsiebis-charcho

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:
კლასტერის საერთო რჩევები:

სასურველია ჩატარდეს უცხოურ უნივერსიტეტებში განხორციელებული მსგავსი პროფილის პროგრამების შედარებითი ანალიზი და მიზნების ჩამოყალიბებისას მოხდეს ამ ანალიზის შედეგების გათვალისწინება.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა
რეკომენდაციები:

- მოხდეს პროგრამის მიზნების ფორმულირება ისე, რომ ისინი ითვალისწინებდეს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს.
- რეკომენდებულია პროგრამის მიზნების ხელახალი ფორმულირება ისე, რომ ისინი უფრო სპეციფიური და კონკრეტული გახდეს.

პროგრამა 2 სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა
რეკომენდაციები:
რეკომენდებულია პროგრამის მიზნების ხელახალი ფორმულირება ისე, რომ ისინი უფრო სპეციფიური და კონკრეტული გახდეს.

პროგრამა 3 კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის სამაგისტრო პროგრამა
რეკომენდაციები:
პროგრამის მიზნების გადახედვა ისე, რომ გამოვლინდეს პროგრამის ინდივიდუალურობა. მიზნების სხვადასხვა განმარტებების კონცენტრირება მთავარ მიზნებში.

პროგრამა 4 სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა
რეკომენდაციები:
რეკომენდებულია პროგრამის მიზნების ხელახალი ფორმულირება ისე, რომ ისინი უფრო სპეციფიური და კონკრეტული გახდეს.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაში	მეტწილად	ნაწილობრივ	არ არის
1.1 პროგრამის მიზნები	მოთხოვნებთან	შესაბამისობაში	შესაბამისობაში	შესაბამისობაში
		მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან

პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობი ს საბაკალავრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის სამაგისტრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 4 სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 5 ხელოვნებათმცოდნეობი ს სადოქტორო პროგრამა	X	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ზოგადად, კლასტერში დაჯგუფებული სამივე დონის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია. პროგრამებში არსებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას. ყველა პროგრამის სწავლის შედეგი ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სასწავლო სფეროს თავისებურებებთან. სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტები იძენენ პროგრამის დასრულების შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ სწავლის შედეგები შემუშავებულია ყველა დაინტერესებული მხარის (აკადემიური/ სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა) ჩართულობით, გასაუბრებებმა აჩვენა, რომ ყველა პარტნიორი არ იცნობს მოსალოდნელ სწავლის შედეგებს.

გასაუბრებების დროს წარმოდგენილ იქნა შრომის ბაზრის კვლევის შედეგები. მთავარ გამოწვევებს შორის გამოიკვეთა პრაქტიკის ნაკლებობა და სუსტი ტრანსფერული უნარები (ადაპტაცია და ეფექტური კომუნიკაცია, ასევე გუნდში მუშაობა). უნივერსიტეტმა აღიარა, რომ მან უპასუხა აღნიშნულ საკითხებს,

თუმცა ეს არ აისახა სწავლის შედეგებში. რეკომენდებულია სწავლის შედეგების განახლება, რაც ტრანსფერული უნარების განვითარებას გულისხმობს.

პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა

ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს, ბაკალავრიატის დონის აღწერისა და უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის ჩარჩოს დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ისინი იყოფა ცოდნისა და გაცნობიერების, უნარებისა და პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის ნაწილებად. ცოდნა და გაცნობიერება მოიცავს მსოფლიო და ეროვნული ხელოვნების ისტორიის (ძირითადად ვიზუალური ხელოვნებისა და არქიტექტურის) და მისი შემქმნელების ცოდნას, კულტურული ტენდენციებისა და პროცესების გააზრებას. უნარებს შორისაა შესაბამის ინფორმაციასთან მუშაობის, არქიტექტურის ძეგლების ანალიზის, ქართული ხელოვნების პროცესების ანალიზისა და დარგობრივი ტერმინოლოგიისა და მეთოდების გამოყენების უნარი. პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილში გამოიკვეთება სტუდენტის საკუთარ აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის, ინტელექტუალური საკუთრებისადმი პატივისცემის დემონსტრირების და ეთიკური მუშაობის (როგორც ინდივიდუალურად, ისე გუნდში) უნარი.

ეს სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური და, ზოგადად, შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. თუმცა, გაუგებარია, რამდენად შეიძლება გამოყენებული იქნას ხელოვნების ნიმუშებისა და პროცესების ანალიზის ზოგადი ცოდნა და ძირითადი უნარები რეალურ შრომის ბაზარზე.

პროგრამა 2 სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა

სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს, ბაკალავრიატის დონის აღწერისა და უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის ჩარჩოს დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ისინი იყოფა ცოდნისა და გაცნობიერების, უნარებისა და პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის ნაწილებად. ცოდნა და გაცნობიერება გულისხმობს ნახატისა და ფერწერის შექმნის თეორიულ ცოდნას და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ზოგად ცოდნას. თუმცა, ეს უკანასკნელი ძალიან ფართოდ არის განსაზღვრული: საეჭვოა რეალურია თუ არა შემდეგი მიზნის მიღწევა, „აღწერს და განასხვავებს ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარების ძირითად ეტაპებს, კონცეფციებს და მეთოდებს, ფილოსოფიის, ისტორიის, ხელოვნების ძირითად ამოცანებს, ეტაპებს, ფაქტებს და მოვლენებს". უნარებს შორის არის ხატვის, ფერწერის, კომპოზიციის, ვიზუალური მასალის ანალიზის, კვლევითი ან პრაქტიკულ-შემოქმედებითი პროექტის განხორციელების და ერთ-ერთი ევროპული ენის (სურვილისამებრ) და ერთ-ერთი კლასიკური ან აღმოსავლური ენის (სურვილისამებრ) გამოყენების უნარი აკადემიური და პრაქტიკული მიზნებისთვის. პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილში გაერთიანებულია ინდივიდუალური სწავლის დაგეგმვისა და პიროვნული და აკადემიური თავისუფლების ღირებულებების გათვალისწინების უნარი, ეთიკურ იდეალებთან და ინტელექტუალური საკუთრების პატივისცემასთან ერთად.

ამ სწავლის შედეგების უმეტესობა არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური და, ზოგადად, შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. თუმცა, გაუგებარია, რამდენად შეიძლება შეძენილი ცოდნისა და უნარების გამოყენება რეალურ შრომის ბაზარზე. სწავლის შედეგებში არ არის ასახული შრომის ბაზრის მიმდინარე კულტურული საჭიროებები და მოთხოვნები.

პროგრამა 3 კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის სამაგისტრო პროგრამა

სწავლის შედეგებისა და განათლების დონის მიხედვით, პროგრამები მიზნად ისახავს სტუდენტების პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. ადგილზე ვიზიტმა გამოავლინა, რომ სახვითი ხელოვნების (საბაკალავრო და სამაგისტრო) ორივე პროგრამის სტუდენტებს აქვთ მეტი შესაძლებლობა პროფესიული შესრულებისთვის, თუმცა ისინიც კი გრძნობენ პრაქტიკის ნაკლებობას (განსაკუთრებით კონკრეტული საგნების შესწავლისას, როგორიცაა ტანსაცმლის მოდელირება). ზოგიერთი სტუდენტი იზიარებს იმ შთაბეჭდილებას, რომ მთავარი მიზანია უბრალოდ გამოცდის ჩაბარება და არა სტუდენტების ტრანსფერული უნარებით უზრუნველყოფა. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა ტიპის სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში, რომლებიც ყოველწლიურად იმართება თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ. მათ ასევე შეუძლიათ გამოაქვეყნონ სამეცნიერო ნაშრომები ფაკულტეტისა და სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტების სტუდენტურ ჟურნალებში, ხოლო ვიზუალური ხელოვნების ინსტიტუტის სახვითი ხელოვნების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ სტუდენტურ გამოფენებში, მათ შორის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალებში, სიმპოზიუმების ფარგლებში. თუმცა, სტუდენტების ჩართულობა კვლევით პროექტებში საკმაოდ დაბალია. ასევე სტუდენტებმა არ იციან მობილობის შესაძლებლობების შესახებ, ამიტომ ისინი თითქმის არ იყენებენ საერთაშორისო გაცვლითი პროგრმების უპირატესობებს. არსებობს საზღვარგარეთ საერთაშორისო კონფერენციებსა და ვორქშოფებში სტუდენტების მონაწილეობის რამდენიმე მაგალითი, რეკომენდებულია ამ კომპონენტის გაძლიერება. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მასწავლებელი მუშაობს სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებაში და ისინი უზრუნველყოფენ სტუდენტების ჩართვას პრაქტიკულ საქმიანობაში ან აცნობენ სტუდენტებს თავიანთ პროფესიულ საქმიანობას, დამსაქმებლებთან ან პრაქტიკის ცენტრებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ან მემორანდუმები, რომლებიც ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, მიზნებს, შედეგს და პრაქტიკის ხანგრძლივობას, უფრო ეფექტურს გახდიდა ტრანსფერული უნარების განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები
- უნივერსიტეტის ვებგვერდი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

გაიზარდოს სტუდენტების მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებებში საზღვარგარეთ.

კლასტერის საერთო რჩევები:

სასურველია კულტურულ, საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობის გააქტიურება პროფესიული პრაქტიკის მეტი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად.

შეფასება

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის სამაგისტრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 4 სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 5 ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა	☐	X	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

გასაგებია, რომ მოცემული პროგრამების, ყველა საფეხურის სასწავლო გეგმა და სილაბუსი ითვალისწინებს ჩვეულ, კლასიკურ სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიებს (ლექცია, სემინარის დისკუსია, სასწავლო დავალებები, ჯგუფური დისკუსიები და ა.შ.). თუმცა შეინიშნება სწავლებისა და სწავლის ინოვაციური ფორმების ნაკლებობა (დიზაინზე აზროვნების პროცესი, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, კვლევაზე დაფუძნებული სწავლება, ციფრული ჰუმანიტარული მეცნიერებების გამოყენება და ა.შ.).
კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები განსხვავდება ძირითადი საგნების სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე. მე-2 და მე-4 პროგრამების შემთხვევაში, სწავლების მეთოდები უფრო მეტად ეფუძნება პრაქტიკული მაგალითების დემონსტრირებას მცირე თეორიული საფუძვლებით. ხოლო 1 და 3 პროგრამების შემთხვევაში სწავლების მეთოდი მოიცავს მოსწავლეებისთვის ვიზუალური მასალის

მიწოდებას და მათ ირგვლივ მსჯელობის განვითარებას; ასევე თეორიული ინფორმაციის გაზიარების პროცესს, რომელიც ყოველთვის თან ახლავს ნებისმიერი ვიზუალური მასალის გაცნობის პროცესს.
სწავლების პროცესისთვის მნიშვნელოვანია კვლევითი მეთოდოლოგიის განსაზღვრა. პროგრამის კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა მოიცავს ანალიტიკურ უნარებს, ვიზუალური მასალის გამოყენებასა და ანალიზს და შესაბამისი ლიტერატურის კვლევასა და ანალიზს. თუმცა, არ შეგვხვედრია თანამედროვე კვლევის არცერთი მეთოდოლოგია, როგორიცაა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება კვლევის პროცესში და ხელოვნური ინტელექტის ჩართვა.
სწავლების მეთოდში არ არსებობს თანამედროვე მიდგომები, მათ შორის კრიტიკული მსჯელობის განვითარება და თავისუფალი აზროვნების ჩამოყალიბება, ინტერდისციპლინარული კვლევის მეთოდოლოგიის გამოყენება და სხვა.
თუმცა, აღსანიშნავია, რომ ხელმძღვანელებთან გასაუბრებისას ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეებთან ურთიერთობის დროს „დამოუკიდებელი აზროვნების“ განვითარება. მაგრამ ეს მეთოდი ოფიციალურად არ შედის სილაბუსში.
სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამებზე სწავლების ძირითადი მეთოდი(ები) უნდა ეფუძნებოდეს თანამედროვე ტენდენციებს, ტექნოლოგიების დახმარებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის დოკუმენტები (სასწავლო გეგმა და სილაბუსები)
- გასაუბრება სასწავლო პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და ადმინისტრატორებთან
- თვითშეფასების ანგარიში

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- კრიტიკულ ანალიზს უნდა დაემატოს სწავლების მეთოდოლოგია.
- უნდა დაემატოს მეტი პრაქტიკული საველე სამუშაოები.

კლასტერის საერთო რჩევები:

სასწავლო პროცესისთვის სასურველი იქნება, თუ განისაზღვრება კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგია, როგორიცაა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება კვლევის პროცესში და ხელოვნური ინტელექტის ჩართვა.

შეფასება

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 კულტურული მემკვიდრეობის და	☐	X	☐	☐

თანამედროვეობის სამაგისტრო პროგრამა				
პროგრამა 4 სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 5 ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა	☐	X	☐	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხატვრულ კლასტერში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამების სამივე საფეხურის სასწავლო კურსებზე სტუდენტების შეფასება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და თსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად. შეფასების სისტემა შეესაბამება მოცემულ სასწავლო კურსს ან სხვა სწავლასა და კვლევას, პრაქტიკულ კომპონენტს, ის გამომდინარეობს მათი მიზნებიდან და აფასებს მათ შედეგებს გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპით.

პროგრამის აღწერაში ასახულია სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა. შეფასების სისტემა და კრიტერიუმები აღწერილია თითოეული საგნის სილაბუსში. სტუდენტის მიერ კრედიტის ათვისება ფასდება შეფასების სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით. შეფასების სისტემა თანასწორ მიდგომას უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მიმართ.

შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები, ქულების დეტალური განაწილება, სტუდენტებისთვის წინასწარ არის ცნობილი. აკადემიური პერსონალი კონტაქტშია სტუდენტთან - აცნობს სტუდენტს შეფასების შედეგებს, სტუდენტის სუსტ და ძლიერ მხარეებს. სწავლის შედეგების შესახებ ინფორმაციის მიღება სტუდენტს შეუძლია სასწავლო პროცესის მართვის სისტემის (lms.tsu.ge) და ელექტრონული სწავლების პორტალის (e-learning.tsu.ge) მეშვეობით.

შეფასებით უკმაყოფილო სტუდენტ, შეუძია გაასაჩივროს შეფასება. ასეთ შემთხვევაში ნაშრომის/დავალების/აქტივობის შეფასების განხილვას უზრუნველყოფს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაცია.

შეფასების სისტემა შედგება რამდენიმე კომპონენტისგან და მოიცავს: ერთ ან რამდენიმე შუალედურ გამოცდას და დასკვნით გამოცდას. თითოეულ საგანში მოსწავლეს შეუძლია მაქსიმუმ 100 ქულის მიღება. მინიმალური დადებითი შეფასებაა 51 ქულა.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, დასკვნით გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი, რომელმაც სასწავლო კურსების შუალედურ შეფასებებში დააგროვა არანაკლებ 21 ქულისა.

შუალედური და საბოლოო შეფასება მოიცავს შეფასების კომპონენტებს, რომლებიც განსაზღვრავენ სტუდენტის ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შეფასების გზებს. სტუდენტთა შეფასება მოიცავს: სამუშაო ჯგუფებში, პრაქტიკულ გაკვეთილებსა და სემინარებში სტუდენტების აქტივობის შეფასებას; შუალედური გამოცდის შეფასებას; დასკვნითი გამოცდის შეფასებას; პრეზენტაციის, შემოქმედებითი მუშაობის შეფასებას; კვლევითი ნაშრომის შეფასებას. სტუდენტს კრედიტი ეძლევა მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: A (91-100), B (81-90), C (71-80), D (61-70), E (51-60). უარყოფით შეფასებად ითვლება: FX (41-50), F (40 ან ნაკლები).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უნივერსიტეტს აქვს შუალედური და დასკვნითი გამოცდების შედეგების გასაჩივრების მექანიზმი. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს მიღებული შეფასება. საგამოცდო ქულის ასახვიდან 48 საათის განმავლობაში სტუდენტმა უნდა გაგზავნოს საჩივარი თსუ-ს ელექტრონული სისტემიდან.

აღსანიშნავია, რომ თსუ-ში მოქმედებს საგამოცდო ცენტრი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს საგამოცდო პროცესის ობიექტურად და გამჭვირვალედ წარმართვაში. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქულების დეტალურ ანალიზთან მიმართებით არის გარკვეული უკმაყოფილება: გამოცდებზე მიღებულ შეფასებებს სტუდენტები ხშირად გვიან იგებენ და, როგორც აღნიშნეს, არ იღებენ მითითებებს, კომენტარის ფორმით, თუ რატომ მიიღეს კონკრეტული ქულა.

დეტალურად არის გაწერილი საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების მომზადების წესები, რომლის ნახვაც სტუდენტებს შეუძლიათ როგორც უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ასევე საგანმანათლებლო მონაცემთა ბაზაში. საკვალიფიკაციო ნაშრომების შეფასების კრიტერიუმები დეტალურად არის გაწერილი და სტუდენტებს, როგორც წესი, წინასწარ უნდა ჰქონდეთ ამის შესახებ ინფორმაცია.

რაც შეეხება სადოქტორო საფეხურს, დისერტაციის დაწერამდე დოქტორანტი ასრულებს სასემინარო ნაშრომს, რომლის 60%-ს აფასებს რეცენზენტი, ხოლო 40%-ს კომისია - პრეზენტაციის დროს. აღსანიშნავია, რომ ეს ნაშრომი არ არის საბოლოო ნაშრომის ნაწილი, ის განსხვავდება მისგან. დოქტორანტს ეკისრება ვალდებულება საჯაროდ წარადგინოს დისერტაციასთან დაკავშირებული ორი სამეცნიერო კვლევითი პროექტი.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის/კომპონენტების შეფასება ხორციელდება ფაკულტეტის სადოქტორო დებულებითა და თსუ-ის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით განსაზღვრული წესით. დისერტაციის შეფასება, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ ხდება კონფიდენციალურად, ქულების სისტემით.

აღსანიშნავია, რომ არსებული შეფასების სისტემა გასაგები და მისაღებია როგორც სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის. მათ ამ მიმართულებით ცვლილებები არ სურთ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამები და სილაბუსები;
- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების მომზადებისა და დაცვის წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ (კონსოლიდირებული);

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი;
- ელექტრონული პორტალი და უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია სტუდენტმა დროულად მიიღოს ინფორმაცია შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე მიღებული შეფასების შესახებ, რათა გონივრულ ვადაში გაასაჩივროს/ გააუმჯობესოს შეფასება. გარდა ამისა, რეკომენდებულია პედაგოგმა კომენტარის სახით მიუთითოს ის ხარვეზები, რაც დაბალი ქულის საფუძველი გახდა.

პროგრამა 2 სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია სტუდენტმა დროულად მიიღოს ინფორმაცია შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე მიღებული შეფასების შესახებ, რათა გონივრულ ვადაში გაასაჩივროს/ გააუმჯობესოს შეფასება. გარდა ამისა, რეკომენდებულია პედაგოგმა კომენტარის სახით მიუთითოს ის ხარვეზები, რაც დაბალი ქულის საფუძველი გახდა.

პროგრამა 3 კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია სტუდენტმა დროულად მიიღოს ინფორმაცია შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე მიღებული შეფასების შესახებ, რათა გონივრულ ვადაში გაასაჩივროს/ გააუმჯობესოს შეფასება. გარდა ამისა, რეკომენდებულია პედაგოგმა კომენტარის სახით მიუთითოს ის ხარვეზები, რაც დაბალი ქულის საფუძველი გახდა.

პროგრამა 4 სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაციები: რეკომენდებულია სტუდენტმა დროულად მიიღოს ინფორმაცია შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე მიღებული შეფასების შესახებ, რათა გონივრულ ვადაში გაასაჩივროს/

გაუმჯობესოს შეფასება. გარდა ამისა, რეკომენდებულია პედაგოგმა კომენტარის სახით მიუთითოს ის ხარვეზები, რაც დაბალი ქულის საფუძველი გახდა.

შეფასება

კომპონენტი 2.4. - სტუდენტის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა	☐	x	☐	☐
პროგრამა 2 სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა	☐	x	☐	☐
პროგრამა 3 კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის სამაგისტრო პროგრამა	☐	x	☐	☐
პროგრამა 4 სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა	☐	x	☐	☐
პროგრამა 5 ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა	☐	x	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის სამაგისტრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 4 სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა	☐	X	☐	☐

პროგრამა 5 ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა	☐	X	☐	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადო ხარისხით გაწევა.

3.1 სტუდენტების კონსულტაცია და მათი მხარდაჭერის სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტები ინფორმაციას იღებენ რამდენიმე საინფორმაციო არხისა და სტრუქტურული ერთეულის დახმარებით, მათ შორის: მოკლე ტექსტური შეტყობინებით, სასწავლო ბაზით LMS, სასწავლო პროცესის მართვის სერვისით, ინდივიდუალური კონსულტაციებით, სოციალურ ქსელებში სპეციალური ჯგუფებით, ელექტრონული ფოსტით და სხვა.

ყველაზე ვრცელი კონსულტაცია, რომელსაც უნივერსიტეტის სხვადასხვა საფეხურის სტუდენტები იღებენ უნივერსიტეტში ჩარიცხვისთანავე, უნივერსიტეტის პირველ კვირას იგეგმება. მასში ჩართულია არა მხოლოდ აკადემიური პერსონალი, არამედ უნივერსიტეტის სერვისების ყველა მნიშვნელოვანი რგოლი. ეს შეხვედრები გულისხმობს სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდებას საუნივერსიტეტო სერვისების შესახებ და უახლესი ინფორმაციის მიწოდებას საუნივერსიტეტო სივრცეში. ერთი კვირის განმავლობაში სტუდენტები იღებენ ამომწურავ ინფორმაციას სერვისების შესახებ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან დაგეგმილ შეხვედრებზე, რაც აადვილებს მათთვის სასურველი ინფორმაციისა და სერვისების დროულად და ხარისხიანად მიღებას სწავლის პროცესში.

მოსწავლეებს ეძლევათ ინფორმაცია მათთვის საინტერესო და სასარგებლო მოვლენების შესახებ. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, სტუდენტები ჩართულნი იყვნენ საერთაშორისო ვორქშოფებში, გამოფენებში, მათ შორის იტალიაში, თურქეთში. მათ ასევე ჰქონდათ ონლაინ გამოფენა პანდემიის დროს. ამ მიმართულებით არსებული გამოცდილების გათვალისწინებით აღინიშნა, რომ მსგავს საერთაშორისო ღონისძიებებში ჩართული სტუდენტები დაფინანსდნენ. პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, მათ აქვთ ინტენსიური ურთიერთობა საერთაშორისო დონეზე, თუმცა, როგორც ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების უმეტესობისთვის ინტერნაციონალიზაცია გამოწვევად რჩება. მათი თქმით, ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო, რათა გაიზარდოს საერთაშორისო მობილობა. უფრო მეტიც, სტუდენტებთან ინტერვიუებმა ცხადყო, რომ

მათ არ იცოდნენ მობილობის შესაძლებლობების თაობაზე, ამიტომ ისინი თითქმის არ სარგებლობენ საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების უპირატესობებით.

პირველივე ლექციაზე სტუდენტები თავად იღებენ საჭირო ინფორმაციას სასწავლო კურსებთან დაკავშირებით. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, შესაბამისი საგნის ლექტორი პირველივე ლექციაზე აწვდის ინფორმაციას სილაბუსით გათვალისწინებული აქტივობებისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ.

სტუდენტებთან გასაუბრების შედეგების საფუძველზე, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში ჩაწერილი რამდენიმე პოსტულატი ბათილად იქნა ცნობილი. კერძოდ: გასაუბრების დროს, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო ბაზაში (LMS) სხვადასხვა საკითხზე დაწერილ წერილებზე ადმინისტრაციის რეაქცია/უკუკავშირი ხშირად ჭიანურდება. ინფორმირების ნაწილში, შეჩერებული სტატუსის მქონე და დამატებით სემესტრებში მყოფმა სტუდენტებმა გამოთქვეს საყვედური ადმინისტრაციის მხრიდან დაგვიანებულ გაფრთხილებასთან დაკავშირებით.

მათი თქმით, სურთ უფრო აქტიური აქტივობები, მათ შორის: გამოფენები, ვორქშოფები და ა.შ. ასევე, აქვთ საერთაშორისო მობილობის სურვილიც.

მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტებს პერიოდულად, სემესტრში ერთხელ, ეგზავნებათ კითხვარი, რომელიც განსაზღვრავს მათ კმაყოფილებას საგნისა და მისი მასწავლებლის მიმართ, აღნიშნული კითხვარი, ძირითადად სტატიკური/დახურული კითხვებისგან შედგება, რის გამოც სტუდენტებმა ინტერვიუს დროს გამოთქვეს შემდეგი პრეტენზია: მათ სურდათ რომ კონკრეტული საგნის ლექტორისადმი დამოკიდებულება სიტყვიერად დაეწერათ, თუმცა კითხვარის ფორმიდან გამომდინარე, მხოლოდ 0 ქულით შეძლეს ამ ლექტორის შეფასება. მიუხედავად სტუდენტების მიერ გაგზავნილი უარყოფითი შეფასებებისა, ამ კონკრეტული საგნის ლექტორი ჩვეულებრივ აგრძელებდა ლექციების კითხვას მომდევნო სემესტრში.

როგორც ხარისხის სამსახურისა და ადმინისტრაციის მიერ გასაუბრებისას აღინიშნა, ფოკუს ჯგუფები ხშირად გამოიყენება სტუდენტების საჭიროებების დასადგენად. თუმცა ეს, ძირითადად, აკრედიტაციის ან ავტორიზაციის პროცესამდე ხორციელდება, რაც შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ აღნიშნული ინსტრუმენტი გამოიყენება მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში და არ გააჩნია ტრადიციული ხასიათი. გარდა ამისა, სამუშაო ჯგუფში სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა ახსნეს ფოკუს ჯგუფების არსებობით, თუმცა საკითხავია, თუ რამდენად გამართლებულია ამ ორი მნიშვნელოვანი რგოლის არარსებობა თვითშეფასების ჯგუფში.

პ.ს. - სტუდენტების გამოკითხვა არის ნებაყოფლობითი, ანონიმური და ტარდება ყოველ სემესტრში; ფოკუს-ჯგუფები იქმნება მნიშვნელოვან მოვლენებამდე, განსაკუთრებით აკრედიტაციის წინ, პროგრამული ცვლილებების დროს... ფოკუს-ჯგუფები შედგება სამივე დონის სხვადასხვა აკადემიური მოსწრების სტუდენტებისგან, მათ შორის კურსდამთავრებულებისგან და აკადემიურ შვებულებაში მყოფი სტუდენტებისგან.

გარდა საგნობრივი კითხვარისა, მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ სტუდენტებს მიაწოდოს ზოგადი საუნივერსიტეტო კითხვარი. როგორც გასაუბრების დროს აღინიშნა, ასეთი კითხვები კარგად არ მიიღება ან საერთოდ არ მიიღება.

სტუდენტებმა გააჟღერეს შემდეგი საჭიროებები: დაფის, დაფის სადგომის, ტუმბოების განახლება; პლასტიკური ანატომიის საგნის დამატება ნატურმორტების დახატვამდე; ტექნიკური პრობლემების აღმოფხვრა, ტექნიკის განახლება (კომპიუტერები, პროექტორები).

რაც შეეხება სტუდენტების კარიერული განვითარების შესახებ ინფორმირებას, თსუ-ს აქვს სტუდენტური კარიერის განვითარების ცენტრი, რომელიც სტუდენტებს კონსულტაციას უწევს დასაქმების საკითხებზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი ცდილობს მოერგოს სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტების საჭიროებებს. ამ მიმართულებით უნდა ითქვას: შშმ სტუდენტების სასწავლო პროცესის

დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და სრულფასოვანი განათლებისთვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეტაპობრივად და თანმიმდევრულად აუმჯობესებს ინფრასტრუქტურას და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, უზრუნველყოფს დამხმარე პირს და საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას.
აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტების უფლებებს არეგულირებს სტუდენტთა ომბუდსმენი. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტებს უტარდებათ ფსიქოლოგიური კონსულტაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო სამუშაო ანგარიშები;
- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- დაგეგმილი და გამხორციელებული საკონსულტაციო სერვისები;
- საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართული პირების (პროგრამაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი, ფაკულტეტის/სკოლის კოორდინატორი, დამრიგებელი ან სხვა) სამუშაო დატვირთვა, ფუნქციები და მოვალეობები, მათი სამუშაო აღწერილობები;
- დოკუმენტები/ინფორმაცია ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივობებში სტუდენტთა ჩართულობის შესახებ;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- გასაუბრებების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ადმინისტრაციამ შეძლებისდაგვარად ოპერატიულად უპასუხოს სტუდენტების წერილებს. გარდა ამისა, შეჩერებული სტატუსის მქონე და დამატებითი სემესტრის სტუდენტებს დროულად მიაწოდოს ინფორმაცია მნიშვნელოვანი თარიღების შესახებ;
- უნდა გაძლიერდეს საერთაშორისო მობილობა და, შეძლებისდაგვარად, მეტი სტუდენტი ჩაერთოს გაცვლით პროგრამებში;
- რეკომენდებულია სტუდენტების მრავალკომპონენტიანი გამოკითხვის გაუმჯობესება და ჩატარება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების პრობლემურ მონაკვეთებს. საგნობრივი გამოკითხვების გარდა, მათი მასშტაბები უნდა გაიზარდოს ზოგად საუნივერსიტეტო დონეზე; ასევე, მჭიდრო კავშირი უნდა შენარჩუნდეს კურსდამთავრებულებთან, მათ შორის გამოკითხვების დონეზე;
- რეკომენდებულია შეძლებისდაგვარად დაკმაყოფილდეს სტუდენტების მიერ გამოთქმული საჭიროებები მასალების გამოცვლა/ განახლებისა და ტექნიკური გაუმჯობესების თვალსაზრისით.

კლასტერის საერთო რჩევები:
სასურველია გაიზარდოს და გახშირდეს სტუდენტებისათვის სასარგებლო აქტივობები/ღონისძიებები როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო დონეზე.

შეფასება

კომპონენტი 3.1 - სტუდენტთა კონსულტირება და მათი მხარდაჭერის სერვისები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შეესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა)	☐	☐	x	☐
პროგრამა 2 „სახვითი ხელოვნების" საბაკალავრო პროგრამა)	☐	☐	x	☐
პროგრამა 3 (კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის" სამაგისტრო პროგრამა)	☐	☐	x	☐
პროგრამა 4 (სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა)	☐	☐	x	☐
პროგრამა 5 „ხელოვნებათმცოდნეობის" სადოქტორო პროგრამა	☐	☐	x	☐

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრანტებს და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა საშუალებას იძლევა სწორად განახორციელონ სამეცნიერო ზედამხედველობა.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხატვრულ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ხელმძღვანელობენ დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი პუბლიკაციები, კვლევითი პროექტები, მონაწილეობენ სამეცნიერო კონფერენციებში, რაც დასტურდება მათი საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციით. როგორც გასაუბრებისას აღინიშნა, პროფესორები გამოხატავენ მზადყოფნას, კონკრეტული ლიმიტის ფარგლებში,

უხელმძღვანელონ დაინტერესებულ მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს. მეორე მხრივ, სტუდენტებს აქვთ თავისუფლება თემის და ხელმძღვანელის არჩევის პროცესში. მნიშვნელოვანი გარემოებაა ხელმძღვანელის ადაპტაცია მაგისტრანტის/დოქტორანტის თემის სპეციფიკასთან, ამ შემთხვევაში შესაძლებელია თანამშრომლობა. კურსდამთავრებულს, საჭიროების შემთხვევაში, ხელმძღვანელის გარდა, დახმარებას უწევს თანახელმძღვანელი.

სამაგისტრო ნაშრომს შეიძლება უხელმძღვანელოს პროგრამაში ჩართულმა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, რომელსაც თემის შერჩევის შემდეგ ირჩევს სტუდენტი, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან კონსულტაციით. ამ გზით, ერთი მხრივ, უზრუნველყოფილია სტუდენტის თავისუფლება და ავტონომია, მეორე მხრივ კი სტუდენტის უფლება - ჰყავდეს კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელიც შეძლებს სრულყოფილად დაეხმაროს სტუდენტს. ერთ ხელმძღვანელს შეუძლია მიიღოს მაქსიმუმ ხუთი სტუდენტი. ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული სამუშაო პროცესში, მუშაობის ყველა ეტაპზე;

მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელი და სტუდენტი შეთანხმდებიან საერთო ხედვებზე, დგება კონსულტაციის საათები, რომლის დროსაც ხელმძღვანელი ეხმარება სტუდენტს ნაშრომის ორგანიზებაში: სარჩევიდან - დასკვნამდე. კონსულტაციების სიხშირე დამოკიდებულია თემის სპეციფიკაზე, თუმცა შეხვედრები რეგულარული და უწყვეტია.

დოქტორანტურაშიც კი დოქტორანტი მუდმივ კონტაქტზეა სამეცნიერო ხელმძღვანელთან, რომლის რეკომენდაციითაც შედის სადოქტორო პროგრამაზე და რომელსაც გააჩნია დოქტორანტის საკვლევი თემის შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება დოქტორანტთა ხელმძღვანელობის საჭიროებებს.

თსუ-ში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან, სწავლება-კვლევით კომპონენტთან, დოქტორანტურაში მიღებასა და სწავლასთან, დისერტაციის წარდგენასთან, დაცვასთან და შეფასებასთან, დოქტორანტის აკადემიური ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება თსუ-ს დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტითა და ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით. ეს დოკუმენტები განსაზღვრავს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან და მის კვალიფიკაციასთან და ფუნქციებთან დაკავშირებულ საკითხებს.

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს შესაბამისი დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხი, დოქტორანტის დისერტაციის თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები. დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევის გეგმის შესრულებას აკონტროლებს სამეცნიერო ხელმძღვანელი.

დოქტორანტს შეუძლია ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი. ფაკულტეტის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ. დოქტორანტი ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

რაც შეეხება წესებსა და კრიტერიუმებს, გარდა იმისა, რომ ხელმძღვანელი აცნობებს მათ სტუდენტს, შესაბამისი დოკუმენტაცია ასევე ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტს აქვს პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამა სახელწოდებით TURNITIN, რომელშიც , მაგისტრანტი/დოქტორანტი ვალდებულია ატვირთოს სადისერტაციო ნაშრომი, მის დასაცავად. პლაგიატის აღმოჩენის პროგრამა ინტეგრირებულია თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში (LMS).

ყველა ფაკულტეტს აქვს სამეცნიერო-კვლევითი და განვითარების სამსახური, რომლის ფუნქციაა არა მხოლოდ სამეცნიერო საქმიანობის შესახებ ინფორმირება, არამედ დოქტორანტებისა და მაგისტრატურის სტუდენტების მოზიდვა. ფაკულტეტს აქვს სამეცნიერო ჟურნალი როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ფორმით. მათ მჭიდრო ურთიერთობა აქვთ სამეცნიერო ბაზებთან, მათ შორის: EBSCO, ERIC. ასევე, აქვთ „ყოველწლიური“ გამოცემა- სადაც სტუდენტური პუბლიკაციები ყოველწლიურად იკრიბება.

წარმატებული დოქტორანტები და მაგისტრანტები, რომლებსაც აქვთ საერთაშორისო მოწვევა, ფინანსდებიან უნივერსიტეტის მიერ; ისინი აქტიურად წარუდგენენ რუსთაველის სამეცნიერო ფონდს პროექტებს, რომლებიც ორგანიზებულია სტუდენტების ლიდერების მიერ.

შესაბამისი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალების ძიების პროცესში ჩართული არიან ხელმძღვანელებიც. ისინი აძლევენ რეკომენდაციებს უცხოელ კოლეგებს სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის შესახებ.

მიუხედავად ამ საუკეთესო პრაქტიკისა, არსებობს მთელი რიგი გამოწვევები, რომლებზსაც ამ ნაწილში მიმოვიხილავთ:

სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაციების დეტალური შემოწმებისა და შესწავლის შემდეგ, გამოიკვეთა აკადემიური წერის სტანდარტებთან და სამეცნიერო აპარატურასთან დაკავშირებული რამდენიმე შესამჩნევი ხარვეზი. ამ მხრივ, ნაშრომების წერილობით ნაწილში გამოვლინდა ხარვეზები: აკადემიური სტილის, ბიბლიოგრაფიის, წყაროების მართებულობის, გადამოწმების მეთოდის მიმართულებით. ასევე, ტექსტთან დაკავშირებული აკადემიური „არაორგანიზებულობა“.

თუმცა, მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით სამაგისტრო და მით უმეტეს, სადოქტორო დონეზე, რომ სტუდენტებმა განივითარონ სამეცნიერო უნარები, რომლებიც სრული სიზუსტით უნდა აისახოს მათ საკვალიფიკაციო ნაშრომებში. ამ მიმართულებით უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო კვლევის აპარატი არ არის სრულყოფილი, რაც გამოიხატება ნაშრომში კვლევითი კომპონენტების არარსებობით ან გაუმართაობით . მნიშვნელოვანია, აკადემიური და სამეცნიერო თვალსაზრისით მეტი ყურადღება მიექცეს ნაშრომებს.

ასევე გასათვალისწინებელია, რამდენად შეძლებს მაგისტრის დონის სტუდენტი ნაშრომზე სრულყოფილად მუშაობას კურსის - „აკადემიური წერა მაგისტრატურისთვის“ -გავლის გარეშე. ვფიქრობ, ეს დისციპლინა აქტუალური და მნიშვნელოვანია სამივე დონისთვის. როგორც გასაუბრების დროს აღინიშნა, ეს ხარვეზები მოგვიანებით უნდა შეავსონ ნაშრომების ხელმძღვანელებმა.

დღის წესრიგში დგას დოქტორანტურის ვადების დადგენის აუცილებლობა. როგორც გასაუბრების დროს აღინიშნა, დოქტორანტები საკუთარ ვადებს ადგენენ. ერთ-ერთი დოქტორანტი ათი წელია ამ სტატუსითაა. როგორც მივიღეთ ინფორმაცია, დოქტორანტებს ორი კოლოკვიუმი აქვთ, მაგრამ მათი გადასაწყვეტია, შეინარჩუნებენ თუ არა. თუ ამ მიმართულებით ვადები არ გაიწერება, დიდია იმის ალბათობა, რომ დისერტაციის დაცვა განუსაზღვრელი ვადით გადაიდოს.

მაგისტრანტების/დოქტორანტების ზედამხედველობასთან დაკავშირებული მონაცემები პროგრამა 3 კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის სამაგისტრო პროგრამა	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	11
//სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	
მაგისტრანტების რაოდენობა	7
//დოქტორანტთა რაოდენობა	
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	0,73
თანაფარდობა - სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელები/დოქტორანტები	

მაგისტრანტების/დოქტორანტების ზედამხედველობასთან დაკავშირებული მონაცემები პროგრამა 4 სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	13
//სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	
მაგისტრანტების რაოდენობა	6
//დოქტორანტთა რაოდენობა	
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	0,71
თანაფარდობა - სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელები/დოქტორანტები	

მაგისტრანტების/დოქტორანტების ზედამხედველობასთან დაკავშირებული მონაცემები პროგრამა 5 ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	8
//სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	
მაგისტრანტების რაოდენობა	
//დოქტორანტთა რაოდენობა	7
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	
თანაფარდობა - სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელები/დოქტორანტები	0,00

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო სამუშაო ანგარიშები;
- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება;
- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების მომზადებისა და დაცვის წესი;
- პროგრამის განმახორციელებლების პერსონალური მონაცემები (მათ შორის დოქტორანტების ხელმძღვანელების - CV;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- გასაუბრებების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია მეტი ყურადღება მიექცეს საკვალიფიკაციო ნაშრომებს, განსაკუთრებით აკადემიური და სამეცნიერო სტანდარტების კუთხით, რათა ნაშრომი მოიცავდეს: სანდო წყაროებს, აკადემიურ სტილს, მოწესრიგებულ ბიბლიოგრაფიას, სამეცნიერო ტექსტის არქიტექტონიკას;

- რეკომენდებულია მკაფიოდ განისაზღვროს ვადები დოქტორანტებისთვის, რათა მათ დროულად წარმოადგინონ როგორც სემესტრული კოლოქვიუმები, ასევე სადისერტაციო ნაშრომი.

კლასტერის საერთო რჩევები:

პროგრამა 3 კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“ დამამთავრებელი სტუდენტებისათვის ჩაშენდეს სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამაში იმისათვის, რომ ნაშრომზე მუშაობის პროცესში მინიმუმამდე იყოს დაყვანილი გარკვეული პრობლემები და დაბრკოლებები.

პროგრამა 4 სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“ დამამთავრებელი სტუდენტებისათვის ჩაშენდეს სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამაში იმისათვის, რომ ნაშრომზე მუშაობის პროცესში მინიმუმამდე იყოს დაყვანილი პრობლემები და დაბრკოლებები.

შეფასება

კომპონენტი3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის სამაგისტრო პროგრამა	☐	X	☐	☐

პროგრამა 4 სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 5 ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა	☐	X	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის სამაგისტრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 4 სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 5 ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა	☐	X	☐	☐

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტურ და ეფექტიან ფუნქციონირებას და დასახული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსები

➢ პროგრამის პერსონალი შედგება კვალიფიციური სპეციალისტებისაგან, რომლებიც ფლობენ საჭირო კომპეტენციას, რათა დაეხმარონ სტუდენტებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში;
➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-

კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. რაოდენობრივი ინდიკატორები, რომლებიც დაკავშირებულია აკადემიურ/სამეცნიერო/ მოწვეულ პერსონალთან უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისთვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება, ასევე შესაბამისი კომპეტენციები პროგრამის სწავლის სფეროში. ასევე, უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

➢ პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით .

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულია პროგრამების განხორციელებაში, საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი წესის შესაბამისად. აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეების ანალიზმა დაადასტურა, რომ მათი კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ფუნქციებს და მოქმედ კანონმდებლობას.

კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო საათობრივი განრიგი ყოველ სემესტრში ახლდება. განრიგის ანალიზი აჩვენებს პროგრამების განხორციელებას და უზრუნველყოფილია პერსონალის მიერ მათთვის დაკისრებული მოვალეობების სათანადო შესრულება.

კლასტერში შემავალი სამივე დონის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის 64 წევრი. აკადემიური პერსონალი შეადგენს 65%-ს (სულ 38, აქედან 5 პროფესორი, 21 ასოცირებული პროფესორი 12 ასისტენტ პროფესორი, 35% მოწვეული პერსონალი (სულ 26).) პროგრამა მდგრადია აკადემიური პერსონალის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

პროგრამის თანამშრომლებთან და ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებმა ცხადყო, რომ პროგრამის ხელმძღვანელები აქტიურად არიან ჩართულნი სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამების ორგანიზაციულ საკითხებსა და აკრედიტაციის მომზადების პროცესში; ისინი მონაწილეობდნენ პროგრამების განხორციელების შეფასებაში და ეფექტურ კოორდინაციას უწევდნენ პროგრამების განახლების პროცესს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან აქტიური თანამშრომლობით.

პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიურ პერსონალთან პირადი კომუნიკაციის შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი სრულ შესაბამისობაშია პროგრამის სპეციფიკასთან და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნისა და სწავლის შედეგების მიღწევას. ყველა სავალდებულო სასწავლო კურსს უძღვება დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, მრავალი სამეცნიერო პუბლიკაციისა და სახელმძღვანელოს ავტორი. პროგრამაში სულ მონაწილეობს 11 აკადემიური და მოწვეული პერსონალი: მათგან 7 აკადემიური პერსონალია (1 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი და 1 ასისტენტი), ხოლო 4 მოწვეული სპეციალისტი. ყოველივე ზემოაღნიშნული უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალს	მათ შორის დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი , დარგობრივი მიმართულებით[6] .	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	31	7	7	7
პროფესორი:	4	1		1
ასოცირებული პროფესორი	16	5		3
ასისტენტ–პროფესორი	11	1		3
ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	4	4	4	
სამეცნიერო პერსონალი				

პროგრამა 2 სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა

სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ: უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (პროფესორები, ასოცირებული პროფესორები, ასისტენტ-პროფესორები), მოწვეული ლექტორები და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მკვლევარები. ყველა სავალდებულო სასწავლო კურსს უძღვება დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. პროგრამაში სულ მონაწილეობს 16 აკადემიური და მოწვეული პერსონალი: მათგან 7 აკადემიური პერსონალია (1 პროფესორი, 3 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ პროფესორი და 1 ასისტენტი), ხოლო 9 მოწვეული სპეციალისტი. ყოველივე ეს უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობას.

[6] შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს სასწავლო ძირითადი დარგის კომპონენტებს

პროგრამა 2 სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალს	მათ შორის დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი , დარგობრივი მიმართულებით[7] .	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	31	7	7	7
პროფესორი:	4	4	4	1
ასოცირებული პროფესორი	18	18	18	3
ასისტენტ–პროფესორი	9	9	9	3
ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	17	16		_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	_

პროგრამა 3 კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის სამაგისტრო პროგრამა
საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულია უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი; (პროფესორები, ასოცირებული პროფესორები და ასისტენტ-პროფესორები), მოწვეული ლექტორები და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მკვლევარები. ყველა სავალდებულო სასწავლო კურსს უძღვება დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, მრავალი სამეცნიერო პუბლიკაციისა და სახელმძღვანელოს ავტორი. პროგრამაში სულ მონაწილეობს 13 აკადემიური და მოწვეული პერსონალი: მათგან 9 აკადემიური პერსონალია (1 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი, 4 ასისტენტ-პროფესორი და 1 ასისტენტი), ხოლო 4 მოწვეული სპეციალისტი.

პროგრამა 3 კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის სამაგისტრო პროგრამა				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალს	მათ შორის დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი , დარგობრივი მიმართულებით[8] .	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	11	11	11	11

---

[7] შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს სასწავლო ძირითადი დარგის კომპონენტებს

[8] შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს სასწავლო ძირითადი დარგის კომპონენტებს

პროფესორი:	3	3	3	3
ასოცირებული პროფესორი	6	6	6	6
ასისტენტ–პროფესორი	2	2	2	2
ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	4	4	-	_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	_

პროგრამა 4 სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები: უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (პროფესორები, ასოცირებული პროფესორები და ასისტენტ-პროფესორები), მოწვეული ლექტორები და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მკვლევარები. ყველა სავალდებულო სასწავლო კურსს უძღვება დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, მრავალი სამეცნიერო პუბლიკაციისა და სახელმძღვანელოს, შემოქმედებითი პრაქტიკული პროექტის ავტორი და გამოფენის მონაწილე. პროგრამაში სულ მონაწილეობს 16 აკადემიური და მოწვეული პერსონალი: მათგან 7 აკადემიური პერსონალია (1 პროფესორი, 3 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ-პროფესორი და 1 ასისტენტი), ხოლო 9 მოწვეული სპეციალისტი. ყოველივე ეს უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობას.

პროგრამა 4 სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალს	მათ შორის დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი , დარგობრივი მიმართულებით[9] .	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	9	9	9	9
პროფესორი:	1	1	1	1
ასოცირებული პროფესორი	4	4	4	4
ასისტენტ–პროფესორი	4	4	4	4
ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	9	9	-	_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	_

პროგრამა 5 ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა

შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს სასწავლო ძირითადი დარგის კომპონენტებს

სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები არიან: უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (პროფესორები, ასოცირებული პროფესორები და ასისტენტ პროფესორები), თუმცა საჭიროების შემთხვევაში, დოქტორანტის თემიდან გამომდინარე, შესაძლებელია შესაბამისი კვალიფიკაციისა და აკადემიური ხარისხის მქონე თანახელმძღვანელის მოწვევაც.. სასწავლო კურსებს უძღვებიან დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, მრავალი სამეცნიერო პუბლიკაციისა და სახელმძღვანელოს ავტორები. პროგრამის განხორციელებაში სულ 8 აკადემიური პერსონალი (1 პროფესორი, 6 ასოცირებული და 1 ასისტენტ-პროფესორი) მონაწილეობს. ყოველივე ეს უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობას.

პროგრამა 5 ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალს	მათ შორის დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი , დარგობრივი მიმართულებით [10].	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	8	8	8	8
პროფესორი:	1	1	1	1
ასოცირებული პროფესორი	6	6	6	6
ასისტენტ–პროფესორი	1	1	1	1
ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	-	-	-	_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	_

მტკიცებულება/ინდიკატორები

- წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით;
- კურიკულუმის რუკა;
- სასწავლო კურსის/საგნის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;
- პერსონალის პერსონალური მონაცემები და საკვალიფიკაციო დოკუმენტები;
- საგანმანათლებლო პროგრამა, თანდართულ სილაბუსებში აღწერილი საგანმანათლებლო მასალა/რესურსები, ელექტრონული ბიბლიოთეკის საერთაშორისო ბაზები;
- გასაუბრებების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს სასწავლო ძირითადი დარგის კომპონენტებს

შეფასება

კომპონენტი 4.1. ადამიანური რესურსები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 3 კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 4 სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 5 ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა	X	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტებს და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/ თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება კვლევის სფეროში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ხელოვნების კლასტერში დაჯგუფებული სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტებს ხელმძღვანელობენ დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაცია საკმარისია სწავლის შედეგების უმეტესი ნაწილის მისაღწევად. რაც შეეხება ინოვაციებს, ხელმძღვანელებს მოუწევთ გააძლიერონ თავიანთი კომპეტენციები კვლევის უახლესი მეთოდებისა და მეთოდოლოგიების ათვისებაში და უფრო აქტიურები იყვნენ საერთაშორისო კვლევის ასპარეზზე.

პროგრამა 3 კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის სადოქტორო ხარისხის მქონე პერსონალი, დარგობრივი მიმართულებით[11].	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	11	11	11
პროფესორი:	3	3	3
ასოცირებული პროფესორი	6	6	6
ასისტენტ–პროფესორი	2	2	2
მოწვეული პერსონალი	7	-	_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	_

პროგრამა 4 სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის სადოქტორო ხარისხის მქონე პერსონალი, დარგობრივი მიმართულებით.[12]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	9	9	9
პროფესორი:	1	1	1
ასოცირებული პროფესორი	4	4	4
ასისტენტ–პროფესორი	4	4	4
მოწვეული პერსონალი	13	-	_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	_

პროგრამა 5 ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის სადოქტორო ხარისხის მქონე პერსონალი,	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი

[11]ნაშრომის ხელმძღვანელები ფლობენ დოქტორის ხარისხს საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამის დარგში.

[12]ნაშრომის ხელმძღვანელები ფლობენ დოქტორის ხარისხს საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამის დარგში.

		დარგობრივი მიმართულებით.[13]	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	7	7	7
პროფესორი:	1	1	1
ასოცირებული პროფესორი		-	
ასისტენტ–პროფესორი	6	6	6
მოწვეული პერსონალი	-	-	_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	_

პროგრამა 3 კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის სამაგისტრო პროგრამა: კულტურული მემკვიდრეობისა და თანამედროვეობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს ხელმძღვანელობენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. როგორც წესი, ხელმძღვანელებს არჩევენ აკადემიური პერსონალიდან, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომის თემიდან გამომდინარე, ხელმძღვანელად შეიძლება დაინიშნოს მოწვეული პროფესორი. პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაცია საკმარისია, თუმცა სტუდენტებისთვის სასარგებლო იქნებოდა მათი ხელმძღვანელების უფრო ძლიერი ინტერნაციონალიზაცია.

პროგრამა 5 ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს თსუ-ს დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი. აღნიშნული დოკუმენტი, უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებასთან და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებასთან ერთად, განსაზღვრავს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან დაკავშირებულ საკითხებს, მის კვალიფიკაციასა და ფუნქციებს (დოქტორის ხარისხი, კვლევის გამოცდილება შესაბამის სამეცნიერო სფეროში, პუბლიკაციები, დოქტორანტის საქმიანობის კონტროლი და ა.შ.) როგორც წესი, ხელმძღვანელებს არჩევენ აკადემიური პერსონალიდან, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, სტუდენტის სადოქტორო ნაშრომის თემიდან გამომდინარე, ხელმძღვანელად შეიძლება დაინიშნოს მოწვეული პროფესორი. პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაცია საკმარისია, თუმცა სტუდენტებისთვის სასარგებლო იქნებოდა მათი ხელმძღვანელების უფრო ძლიერი ინტერნაციონალიზაცია.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:
სასურველია ხელმძღვანელებმა გააძლიერონ თავიანთი კომპეტენციები კვლევის უახლესი მეთოდებისა და მეთოდოლოგიების ათვისებაში და უფრო აქტიურები იყვნენ საერთაშორისო კვლევის ასპარეზზე.

[13]ნაშრომის ხელმძღვანელები ფლობენ დოქტორის ხარისხს საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამის დარგში.

შეფასება

კომპონენტი 4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 3 კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 4 სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 5 ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა	X	☐	☐	☐

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

➢ უსდ-მ რეგულარულად ატარებს პროგრამის პერსონალის მუშაობის შეფასებას და აანალიზებს შეფასების შედეგებს.
➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. გარდა ამისა, ხელს უწყობს მათ სამეცნიერო და კვლევით საქმიანობას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პერსონალის პროფესიული განვითარება განსაზღვრულია თსუ-ს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში. პერსონალის შეფასების წესი განისაზღვრება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭოს 26 თებერვლის №81/2018 განკარგულებით - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ. ამ დოკუმენტის მიხედვით, სამუშაოს

შეფასების მიზნებია: ა) პერსონალის ინფორმირება იმაზე, თუ რა მოლოდინები აქვს უნივერსიტეტს მათი მუშაობის კუთხით; ბ) პერსონალის მუშაობის სისტემატური მონიტორინგი, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა; გ) პერსონალის განვითარების საჭიროებების გამოვლენა, ინდივიდუალური პოტენციალის შესწავლა და სწორი მიმართულებით განვითარება; დ) მოტივაციისა და სამსახურით კმაყოფილების ამაღლება; ე) შესრულებული მოვალეობების ხარისხის გაუმჯობესება.
უნივერსიტეტი ყოველწლიურად აფასებს პერსონალის აკადემიურ საქმიანობას.
თსუ აკადემიური პერსონალი მონაწილეობს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციებში, ასევე მეცნიერებს საშუალება აქვთ გამოაქვეყნონ თავიანთი კვლევის შედეგები აკადემიურ ჟურნალში. ზოგიერთი ლექტორი ასევე მონაწილეობს სამეცნიერო კონფერენციებსა და პერსონალის ტრენინგებში საზღვარგარეთ, მაგრამ ეს აქტივობები, ისევე როგორც საერთაშორისო კვლევით პროექტებში მონაწილეობა , საკმაოდ შეზღუდულია. უნივერსიტეტი აწყობს ვორქშოფებსა და ტრენინგებს, რითაც უზრუნველყოფს მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას, თუმცა გასაუბრებებმა აჩვენა, რომ ლექტორებისთვის სასურველი იქნებოდა უფრო მეტი ტრენინგი, სხვადასხვა თემაზე.
აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების ანგარიში იძლევა მხოლოდ შეჯამებულ ინფორმაციას ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შესახებ და არ არის კონკრეტული მონაცემები შეფასებული პროგრამების აკადემიური პერსონალის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- ინტერვიუების შედეგები
- კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:
გააძლიერეთ პერსონალის მონაწილეობა კვლევით და სახელოვნებო პროექტებში.

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, უფრო მეტი და მრავალფეროვანი ტრენინგების ჩატარება აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის.
- უნივერსიტეტმა უნდა გააფართოვოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა.

შეფასება

კომპონენტი 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება		შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა	1	☐	X	☐	☐

პროგრამა 2 სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის სამაგისტრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 4 სახვითი ხელოვნება, მაგისტრატურა	☐	X	☐	☐
პროგრამა 5 ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა	☐	X	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია საჭირო ინფრასტრუქტურით, სასწავლო სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ვინაიდან მოცემულ კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებს მოეთხოვებათ ჰქონდეთ სივრცე როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული გაკვეთილებისთვის, ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ენახა საკლასო ოთახები, ლაბორატორიები და ღია სივრცეები, რომლებიც გამოიყენება ამ მიზნებისთვის. ექსპერტთა ჯგუფი ასევე ეწვია სხვა სივრცეებს, როგორიცაა უნივერსიტეტის მუზეუმი, საგამოფენო დარბაზი, საკონფერენციო დარბაზები, რომლებითაც სარგებლობენ ამ პროგრამების სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები; ეს სივრცეები ძირითადად განთავსებულია უნივერსიტეტის პირველ კორპუსში.
წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, უნივერსიტეტს აქვს ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი კამპუსის თითოეულ შენობაში. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას, ასევე ბიბლიოთეკაში ვიზიტის შემდეგ დადგინდა, რომ ბიბლიოთეკაში ინდივიდუალური მუშაობის შესაძლებლობის გარდა არის ჯგუფური სამუშაო ადგილიც. ბიბლიოთეკა იმართება ღია თაროების პრინციპით და ბეჭდური რესურსების გარდა, მკითხველისთვის ხელმისაწვდომია Elsevier-ის მონაცემთა ბაზები – ScienceDirect და Scopus (წვდომას უზრუნველყოფს საქართველოს განათლების სამინისტრო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეშვეობით) , WOS, Jstor და სხვა. ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა განმარტეს, რომ სტუდენტების მოთხოვნით ინდივიდუალურ კონსულტაციებს ატარებენ.

პროგრამა 1. ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მოცემული სავალდებულო ლიტერატურის სიას. როგორც ირკვევა, წყაროების უმეტესობა ქართული იყო, ნაწილი კი რუსულ ან ინგლისურ ენაზე. ლიტერატურა ხელმისაწვდომი იყო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ზოგიერთ კურსში, კურსის პედაგოგები თავად ქმნიან საკითხავ მასალას, ძირითადად თარგმნიან სხვადასხვა წყაროებიდან. ეს რიდერები სხვა სასწავლო მასალებთან ერთად იტვირთება LMS-ზე, რომელსაც უნივერსიტეტი იყენებს. პირისპირ გაკვეთილების გარდა, აღსანიშნავია, რომ ჩვეულებრივი პრაქტიკაა მუზეუმის დათვალიერების ჩატარება სამუზეუმო სწავლებასთან დაკავშირებული კურსის ფარგლებში და არამხოლოდ. მთლიანობაში სტუდენტები საკმაოდ კმაყოფილები არიან საუნივერსიტეტო გარემოთი.

პროგრამა 2. სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა

გასაუბრებისას ყველა სტუდენტმა დაადასტურა, რომ კმაყოფილია უნივერსიტეტის პირველ კორპუსში არსებული ინფრასტრუქტურით, თუმცა ასეთივე გამოცდილება არ აქვთ მეხუთე კორპუსთან მიმართებით. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ პრაქტიკული დავალებების შესასრულებლად გათვლილი დანადგარების გამოყენებას ვერ ახერხებდნენ; აღნიშნეს რომ ესწრებოდნენ ამ კლასებს, თუმცა ამ დანადგარებზე მუშაობის შესაძლებლობა მაინც არ ჰქონდათ. ექსპერტთა ჯგუფმა იკითხა, როგორი იყო სტუდენტების გამოცდილება სასწავლო მასალებთან დაკავშირებით. სტუდენტების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მათ ყველა საჭირო მასალა მასწავლებლებისგან მიიღეს და ბიბლიოთეკაში თითქმის არ დადიოდნენ. როგორც ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, ზოგიერთ კურსზე საკითხავი მასალა რუსულ ენაზე იყო მოცემული, ამიტომ ჯერ აკადემიურ პერსპონალს, შემდეგ კი სტუდენტებს ვკითხეთ, რამდენად ხელსაყრელი იყო ეს მათთვის. როგორც სასწავლო პერსონალმა განაცხადა, გარკვეული დარგობრივი მახასიათებლების გამო ლიტერატურის უმეტესი ნაწილი ჯერ არ არის თარგმნილი ქართულად, რის გამოც ზოგ შემთხვევაში სილაბუსებში სახელმძღვანელოები რუსულ ენაზეც შეიტანეს. ექსპერტთა ჯგუფმა სტუდენტებს ჰკითხა, შეეძლოთ თუ არა რუსულ ენაზე კითხვა, რადგან აღმოჩნდა, რომ გამოკითხულ სტუდენტთა ძალიან მცირემა ნაწილმა დაადასტურა, რომ შეუძლიათ რუსულ ენაზე კითხვა. გარდა ამისა, სტუდენტებს სურთ შეცვალონ ეს საკითხავი მასალა ქართული ან ინგლისური სახელმძღვანელოებით. ექსპერტთა ჯგუფმა გამოიყენა ბიბლიოთეკის კატალოგი იმის გადასამოწმებლად, იყო თუ არა წიგნები ხელმისაწვდომი ბიბლიოთეკაში. როგორც აღმოჩნდა ბიბლიოთეკაში ყველა წიგნი არ არის ხელმისაწვდომი (მაგალითად, ფიგურული პლასტიკის კურსები). ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ისწავლება ბაკალავრიატის დონეზე, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს აკადემიურ პერსონალს, სერიოზულად გადახედოს სახელმძღვანელოებს (რომლებიც გამოიცა 1970-1980 წლებში რუსულ ენაზე) და დარწმუნდეს, რომ ისინი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. უფრო მეტიც, რეკომენდებულია, რომ ყველა დანადგარი და სხვა აღჭურვილობა აქტიურად იყოს გამოყენებული სწავლისა და სწავლების პროცესში, რათა კიდევ უფრო გაძლიერდეს სასწავლო პროცესი.

პროგრამა 3. კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის სამაგისტრო პროგრამა

კურსის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია როგორც ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, ასევე უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სამკითხველო დარბაზში. მიუხედავად იმისა, რომ წყაროების უმეტესობა მშობლიურ ენაზეა, ზოგი ინგლისურადაა. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ სასწავლო მასალებთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ აქვთ, რადგან მასწავლებლები/პროფესორები რესურსებს აგზავნიან ელექტრონული ფოსტით ან აგზავნიან LMS-ში. სასწავლო მასალის გარდა, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გამოწერილი აქვს აკადემიური მონაცემთა ბაზები, როგორიცაა Jstor, WOS, ScienceDirect, რომლებსაც სტუდენტები ძირითადად იყენებენ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი ინსტრუქციები თავისუფლად არის ხელმისაწვდომი ვებ-გვერდზე, სტუდენტები ძირითადად ინფორმაციას იღებენ თავიანთი ხელმძღვანელებისა და პროფესორებისგან. მათ დაადასტურეს საორიენტაციო კვირების განმავლობაში ბიბლიოთეკის მომსახურების შესახებ ზოგადი ინფორმაციის მიღება.

პროგრამა 4. სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა

სტუდენტებმა განაცხადეს, რომ მათ აქვთ წვდომა კურსების ფარგლებში საჭირო ყველა სასწავლო მასალაზე, ზოგიერთი მათგანი მოცემულია ელექტრონული ასლის სახით. უმეტეს შემთხვევაში, ამ რიდერებს აკეთებენ მასწავლებლები/პროფესორები და უგზავნიან უშუალოდ სტუდენტებს. ექსპერტთა ჯგუფმა ორჯერ შეამოწმა სტუდენტებთან, იყენებენ თუ არა ბიბლიოთეკის მიერ შემოთავაზებულ აკადემიური მონაცემთა ბაზებს. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მართალია მათ აქვთ ინფორმაცია ამ შესაძლებლობის შესახებ, მაგრამ დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე ისინი აქტიურად არ იყენებენ ამ მონაცემთა ბაზებს. მთლიანობაში, სტუდენტებიც და კურსდამთავრებულებიც დადებითად აფასებენ ინფრასტრუქტურას.

პროგრამა 5. ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა

ყველა სახელმძღვანელო/ლიტერატურა, რომელიც მოცემულია დოქტორანტურის საფეხურის სავალდებულო კურსებში, ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. გარდა ამისა, სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ მათ აქვთ წვდომა ბიბლიოთეკის მიერ შემოთავაზებულ აკადემიურ მონაცემთა ბაზებზე. უფრო მეტიც, ზოგიერთმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ თსუ-ს აკადემიური ბიბლიოთეკის მიერ ჩატარდა ტრენინგი ამ მონაცემთა ბაზების გამოყენებასთან და მასთან დაკავშირებულ სხვა დავალებებთან დაკავშირებით, მართალია ისინი ამ ვორქშოფებს ვერ დაესწრნენ, თუმცა ინფორმაცია მიიღეს ელექტრონული ფოსტით. ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა, იყო თუ არა გარანტირებული წვდომა აკადემიურ მონაცემთა ბაზებზე კამპუსში და უზრუნველყოფილი იყო თუ არა დისტანციური წვდომა. როგორც გაირკვა, ორივე მუშაობს და უნივერსიტეტი უზრუნველყოფს წვდომას Scopus, WOS, Journal Citation Report-ზე, სადაც უზრუნველყოფილია არა მხოლოდ მონაცემთა ბაზები სრული ტექსტით, არამედ ის, რაც დაკავშირებულია კვლევით საქმიანობასთან. სამი სტუდენტი იყო ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული კვლევითი პროექტებით; როგორც სტუდენტებმა აღნიშნეს, უნივერსიტეტი მათ მხარს უჭერდა როგორც განაცხადის შეტანისას, ასევე პროექტების განხორციელებისას. გასაუბრების დროს ზოგიერთმა დოქტორანტმა ახსენა, უფრო სასარგებლო იქნება თუ მათ ექნებათ ცალკე/ინდივიდუალური სამუშაო სივრცე. ექსპერტთა ჯგუფი ურჩევს უნივერსიტეტს, შექმნას დოქტორანტებისთვის ინდივიდუალური სამუშაო სივრცე კამპუსში, რადგან ბიბლიოთეკაში ყოფნა და სხვა სტუდენტებთან მუშაობა შეიძლება არ იყოს მაინც და მაინც რელევანტური და გამოსადეგი დოქტორანტებისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ ზოგჯერ მათ შეიძლება ჰქონდეთ ონლაინ-შეხვედრები, მათი კვლევის მონაცემების შეგროვებისას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- კამპუსის დათვალიერება უნივერსიტეტში;
- ინტერვიუები ვიზიტის დროს;
- ხელშეკრულებები აკადემიურ მონაცემთა ბაზების პროვაიდერებთან;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 2. სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია, რომ ყველა დანადგარი და სხვა აღჭურვილობა აქტიურად იქნას გამოყენებული სწავლების პროცესში, რათა კიდევ უფრო გაძლიერდეს სასწავლო პროცესი.

რჩევები:

ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს აკადემიურ პერსონალს, სერიოზულად გადახედოს სახელმძღვანელოებს (რომლებიც გამოიცა 1970-1980 წლებში რუსულ ენაზე) და დარწმუნდეს, რომ ისინი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

პროგრამა 5. ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა

რჩევები:

სასურველია, რომ კამპუსში შექმნათ დოქტორანტებისთვის ინდივიდუალური სამუშაო სივრცე , რადგან ბიბლიოთეკაში ყოფნა და სხვა სტუდენტებთან მუშაობა შეიძლება არ იყოს მაინც და მაინც რელევანტური და გამოსადეგი დოქტორანტებისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ ზოგჯერ მათ შეიძლება ჰქონდეთ ონლაინ-შეხვედრები, მათი კვლევის მონაცემების შეგროვებისას.

შეფასება

კომპონენტი 4.4. მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 4 სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 5 ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა	X	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღნიშნული პროგრამა ფინანსდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის განუყოფელი ნაწილია. ამდენად, უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერა გათვალისწინებულია ბიუჯეტში, რომელიც ეკონომიკურად შესასაბამისია აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამისთვის.

ფაკულტეტის ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენარჩუნებას და განვითარებას, მივლინებებსა და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის საფასურს (აკადემიური პერსონალისთვის, ასევე გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტებისთვის და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე მოწვეული დოქტორანტებისთვის); წიგნის ფონდების რემონტის, რედაქტირების, სამეცნიერო-კვლევით ხარჯებს.

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სწავლებისა და კვლევის ინტეგრაციის მნიშვნელობიდან გამომდინარე და ასევე ჰუმანიტარული მეცნიერებების დარგის მკვლევართა წახალისების მიზნით, აქტიურად ახორციელებს დოქტორანტურის სტუდენტების ფინანსური დახმარების პოლიტიკას.

შემოსავლები 371,250

ჯამური ხარჯები 345,258

სულ სამეცნიერო და კვლევითი ხარჯები 142,371

სულ სასწავლო/საგანმანათლებლო/და სხვა ხარჯები 202,887

ხელფასი (პროგრამის აკადემიური პერსონალი)-სასწავლო 142 046

სამეცნიერო/კვლევითი ხარჯი 142 046

ხელფასი (საათობრივი, მოწვეული პერსონალი) 43 650

ხელფასი (ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალი) 720

ხელფასი (ფაკულტეტის დამხმარე პერსონალი) 4,286

სამეცნიერო/კვლევითი ხარჯი 325

წიგნების/ დამხმარე ლიტერატურის შეძენის ღირებულება 75

ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მივლინებები 200

ამავე მიზნებთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთებისა და გამომცემლობისა და ბეჭდური პრესის შესყიდვის

(არაძირითადი საქმიანობა) ხარჯები 50.

წარმომადგენლობითი ხარჯები 115

სტუდენტების გაცვლითი პროგრამების, სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციების, პრაქტიკის, ექსპედიციების და სხვა ღონისძიებების დაფინანსების ღირებულება 12 070. ბიუჯეტის დოკუმენტში ინდივიდუალური პროგრამების ხარჯები არ არის მითითებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის ბიუჯეტი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

შეფასება

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 3 კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა, სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 4 სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 5 ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა	X	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა, სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐

პროგრამა 4 სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 5 ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა	X	☐	☐	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სერვისებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. ხდება საჭირო ინფორმაციის მოპოვება, გაანალიზება და გამოყენება ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და პროგრამის გასავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების პროცესის განხორციელების დროს. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული ყველა პროგრამის დაინტერესებულ მხარესთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ ამ სასწავლო პროგრამების შემთხვევაში გამოიყენება ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სტანდარტული მიდგომები. კერძოდ, ის მუშაობს PDCA ციკლის მიხედვით - "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, იმოქმედე" . ეს პროცესი მოიცავს როგორც პერსონალის შეფასებას, ასევე სტუდენტების გამოკითხვის ფორმების ანალიზს. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეკომენდაციებს წარუდგენს პროგრამის მხარდამჭერ კომიტეტს - სამუშაო ჯგუფს; ეს ჯგუფი აერთიანებს პროგრამის ხელმძღვანელებს აკადემიური პერსონალის წარმომადგენელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ერთად, ფაკულტეტის ადმინისტრაციულ პერსონალთან და ზოგიერთ შემთხვევაში დამსაქმებლებთან ერთად. . ეს კომიტეტი განიხილავს სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებულ მიმდინარე ამოცანებსა და მოთხოვნებს და ადგენს რეკომენდაციებს ან ინტერვენციებს, რომლებიც გადაეგზავნება ფაკულტეტის საბჭოს და ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრალურ ოფისს. პროგრამების მხარდამჭერი კომიტეტი მუშაობს პროგრამებზე ჰოლისტიკური მიდგომით, რაც გულისხმობს უნივერსიტეტში არსებული ყველა საგანმანათლებლო საფეხურის სასწავლო პროგრამების მონიტორინგს. ამ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების შემთხვევაში არსებობდა ორი კომიტეტი, ერთი სახვითი ხელოვნების (ორ პროგრამაზე პასუხისმგებელი) და მეორე ხელოვნების ისტორიის (პასუხისმგებელია სამ პროგრამაზე).

პროგრამების თვითშეფასების ჯგუფები მოიცავს როგორც აკადემიურ, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალს ფაკულტეტის დონეზე და სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებიდან, რომლებიც უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის მომსახურებას. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეხვედროდა თვითშეფასების პროცესში ჩართულ პერსონალს, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობენ პროგრამის განხორციელებისა და შემუშავების პროცესში, როლები გადანაწილებულია მათი

კომპეტენციების მიხედვით. ძირითადად, აკადემიური პერსონალი იყო პასუხისმგებელი პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაზე, ასევე სასწავლო გეგმებში მოცემულ კურსებზე, ხოლო ადმინისტრაციული პერსონალი დაკავებული იყო სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მონაცემების შეგროვებით.

ექსპერტთა ჯგუფმა რამდენიმე კითხვა დაუსვა იმის გასარკვევად, თუ როგორ მიეწოდებათ მათ აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგები. როგორც გასაუბრებისას გაირკვა, აკადემიური პერსონალის ნაწილმა დაადასტურა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აწვდის შეფასების შედეგებს თითოეული ფაკულტეტის წევრს, საჭიროების შემთხვევაში ისინი უკავშირდებიან პროგრამის ხელმძღვანელს. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურობის გაზრდის მიზნით, აკადემიური პერსონალისთვის უკუკავშირი იყოს წერილობითი ფორმით, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი უკუკავშირის შემთხვევებში. როგორც ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, იმ მიზეზის გამო, რომ სტუდენტთა რაოდენობა არც თუ ისე მაღალია მოცემულ სასწავლო პროგრამებზე - მაგისტრატურაზე და დოქტორანტურაზე, აკადემიურ პერსონალთან და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან პირდაპირი კომუნიკაცია ასევე აქტიური მექანიზმია.

საგანგებო დისტანციური სწავლება თანაბრად შეეხო ამ კლასტერში მოცემულ ხუთივე პროგრამას; Covid19-ის გავრცელების გამო უნივერსიტეტი თითქმის ოთხი სემესტრის განმავლობაში ონლაინ რეჟიმში ატარებდა გაკვეთილებს . როგორც წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, შემუშავდა გაიდლაინები და დამატებითი პოლიტიკა/მექანიზმები პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით. უფრო მეტიც, სასწავლო პერსონალმა აღნიშნა, რომ სასწავლო აქტივობების წარმართვაში მათ მხარდაჭერა მიიღეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან. გარდა ამისა, სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ აქვთ წვდომა LMS და ვიდეო კონფერენციის ინსტრუმენტებზე. ხარისხის უზრუნველყოფის ოფისი ფაკულტეტის დონეზე პროაქტიულად შეხვდა აკადემიური პერსონალის წევრებს ონლაინ სწავლების დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ფორმა;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი;
- აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის #75/2018 დადგენილება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელოვნების კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შექმნის, შეფასების და განვითარების ხელშემწყობი კომიტეტების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ. მასში შეტანილი ცვლილებები ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 4 ოქტომბრის დადგენილებით;
- ხელოვნების კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულების დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები და შრომის ბაზრის კვლევის შედეგები (დანართი 9); შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი (დანართი 9);
- ინტერვიუების შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:
კლასტერის საერთო რჩევები:

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურობის გაზრდის მიზნით, სასურველია აკადემიურმა პერსონალმა უკუკავშირი მიიღოს წერილობითი ფორმით, როგორც დადებით, ასევე უარყოფით შემთხვევებში

შეფასება

კომპონენტი 5.1. შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთ
პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 3 კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 4 სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 5 ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა	X	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

რაც შეეხება ხარისხის გარე უზრუნველყოფას, უნივერსიტეტი მუშაობს იმ რეკომენდაციებზე, რომლებიც გაცემული იყო წინა აკრედიტაციის პროცესში. აღსანიშნავია, რომ ხელოვნების ისტორიის ქოლგის ქვეშ მოცემული პროგრამები უნივერსიტეტში თითქმის ასი წელია ისწავლება, ამიტომ მათ არაერთხელ გაიარეს გარე შეფასება. როგორც გასაუბრებისას განმარტეს, იმის გამო, რომ ბოლო შეფასება ათ წელზე მეტი ხნის წინ მოხდა, პროგრამები ამ დროისთვის შეიცვალა და დაიხვეწა სპეციალურად შექმნილი კომიტეტის რეკომენდაციით, რომელშიც აქტიურად იყო ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე.

ამას გარდა, უნივერსიტეტმა 2018 წელს გაიარა ინსტიტუციური აკრედიტაცია, მიიღო გარკვეული რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც ასევე გათვალისწინებული იქნა ამ კლასტერში მოცემულ პროგრამებზე მუშაობისას. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პასუხისმგებელია, რომ სასწავლო პროგრამებზე მოქმედებდეს ხარისხის მექანიზმი; ისინი აცნობენ ძირითად ამოცანებს პროგრამის ხელმძღვანელებს და სამუშაო ჯგუფებს.

როგორც გასაუბრებისას ითქვა, უნივერსიტეტს არ ჩაუტარებია კლასტერში მოცემული სასწავლო პროგრამების გარე კოლეგიალური შეფასება, რადგან ისინი ამ მექანიზმს არაეფექტურ ინსტრუმენტად თვლიან. მათი თქმით, კოლეგებისგან დადებითი და ზოგადი გამოხმაურების ნაცვლად, ისინი განსხვავებულ მიდგომას ირჩევენ. კლასტერში შემავალი ყველა პროგრამის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ ისინი ჩართულნი არიან სამუშაო ჯგუფებში, რომლებმაც შეიმუშავეს ეროვნული დარგობრივი მახასიათებლები - ერთი სახვითი ხელოვნების და მეორე ხელოვნების ისტორიაში. მოცემულ სამუშაო ჯგუფებში მათ მიეცათ საშუალება წარმოედგინათ საკუთარი პროგრამები და მიეღოთ გამოხმაურება საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების კოლეგებისგან, რომლებიც ატარებენ მსგავს სასწავლო პროგრამებს. როგორც გასაუბრების დროს აღინიშნა, ეს გამოცდილება უფრო ეფექტური იყო, რადგან მათ მიიღეს დამხმარე და დეტალური გამოხმაურება მოცემული პროგრამების შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების მეთოდოლოგია;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის მიერ შექმნილი გამოკითხვის ფორმები;
- ინტერვიუების შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი .

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:
კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

შეფასება

კომპონენტი 5.2. გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთ
პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობი ს საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 3 კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 4 სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 5 ხელოვნებათმცოდნეობი ს სადოქტორო პროგრამა	X	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული,
დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის გზით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მოცემული პროგრამების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება მიმდინარეობს უნივერსიტეტში არსებული წესებისა და პროცედურების დაცვით. კერძოდ, ამ პროცესში ჩართულია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. მათთან შეხვედრების საფუძველზე ხდება საჭიროებების იდენტიფიცირება, რომლებიც განიხილება პროგრამის თვითშეფასების ჯგუფში, შემდეგ ფაკულტეტის საბჭოში და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებები წარედგინება აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად. გასაუბრებისას დადასტურდა, რომ პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა ტარდება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებლების ჩართულობით-

ყოველი წლის ბოლოს ონლაინ გამოკითხვებისა და კითხვარების სისტემატური გაგზავნით, შემდეგ ინფორმაციის შეგროვებითა და ანალიზით, პროგრამების დახვეწისა და მოდიფიცირების მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა, გასაუბრებისას, დეტალურად აღწერეს რამდენიმე სტუდენტური პრობლემების მაგალითი, რომლებიც აისახა გამოკითხვებში და რომლებზე რეაგირებაც მყისიერად მოხდა. სტუდენტებმა გასაუბრებისას აღიარეს, რომ კითხვარები იყო დამღლელი და განაცხადეს, რომ კითხვარები დახურული კითხვებით არის შედგენილი და არ აქვთ ღია კითხვების შევსების შესაძლებლობა. ხარისხის უზრუნველყოფის ხარისხმა იცოდა ამის შესახებ და შეამცირა კითხვების რაოდენობა ამ გარემოების შესამსუბუქებლად და გაზარდა თავისუფალი პასუხებისთვის განკუთვნილი სივრცე, უზრუნველყო რა რომ კითხვარში ბოლო კითხვას ჰქონდეს ღია პასუხი. თუმცა, სტუდენტები ვერ მიდიან ბოლო კითხვამდე, რადგან იქამდე წყვეტენ კითხვარის შევსებას. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ რამდენიმე ღია შეკითხვა დაემატოს სტუდენტთა გამოკითხვას, რათა მათ თავიდანვე დაინახონ ეს კითხვები; ეს შეიძლება მიმზიდველი იყოს ზოგიერთი სტუდენტისთვის, ვისაც სურს საკუთარი აზრის წერილობით გამოხატვა . სტუდენტები და კურსდამთავრებულები ძირითადად ავსებენ ელექტრონული ფოსტით ან სასწავლო საინფორმაციო სისტემის მეშვეობით გაგზავნილ კითხვარებს. კითხვარის შინაარსი მოიცავს კონკრეტულ სასწავლო კურსებს, ასევე საუნივერსიტეტო სერვისებს.
გასაუბრების დროს დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამები ძირითადად მოიცავს ქვეყნის დონეზე არსებულ საჭიროებებს. მათ განაცხადეს, რომ უნივერსიტეტი მათთან კონტაქტზეა და პირადი გასაუბრებით ცდილობს მათი საჭიროებების დადგენას. ექსპერტთა ჯგუფი საკმაოდ ბევრ დამსაქმებელს შეხვდა და დადასტურდა, რომ უნივერსიტეტი მათთან მჭიდროდ თანამშრომლობს. თუმცა, ზოგიერთი დამსაქმებელი არ იცნობდა სასწავლო პროგრამების შინაარსს და ზოგადად გამოთქვამდა მოსაზრებებს უნივერსიტეტის შესახებ. ვარაუდობენ, რომ დაწესებულებამ გააძლიეროს თანამშრომლობა დამსაქმებლებთან, მოცემული სასწავლო პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით.
მაგისტრანტები და დოქტორანტები, მათ მიერ შევსებული გამოკითხვის ფორმების გარდა, დამატებით აფასებენ თავიანთ ხელმძღვანელებს, როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი აღნიშნავს, შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისთვის.
ადგილზე ვიზიტისას დადგინდა, რომ პროგრამების ხელმძღვანელები პირად კონტაქტებსა და კავშირებს იყენებდნენ, რათა შეედარებინათ მოცემული პროგრამები ქვეყანაში თუ მის ფარგლებს გარეთ არსებულ მსგავს პროგრამებთან. მათ დააფიქსირეს ძირითადი მსგავსებები და განსხვავებები და ეს განიხილეს სამუშაო ჯგუფებთან და თვითშეფასების გუნდებთან.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იკრიბება თვეში ერთხელ, რათა დარწმუნდეს, რომ წინა კვირის ნებისმიერ საკითხზე ხდება რეაგირება და საქმიანობაში იყენებს PDCA პროცესს. ექსპერტთა ჯგუფმა შეიტყო, რომ პროგრამებში ცვლილებების შესახებ ნებისმიერი შედეგი ეცნობება აკადემიურ პერსონალს ფაკულტეტის რეგულარული შეხვედრების დროს, რომლებიც ასევე გამოიყენება დისკუსიის ფორუმად; ცვლილებები ეცნობება მოწვეულ პერსონალს ონლაინ შეხვედრებზე, რომლებიც ტარდება საჭიროებისამებრ.
დასასრულს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი კმაყოფილია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები მიმდინარეობს სასწავლო პროგრამების პერიოდული მონიტორინგისა და შეფასებისთვის და რომ ხარისხის კულტურა ძალიან კარგად ჩანს უნივერსიტეტის სახვითი ხელოვნებისა და ხელოვნებათმცოდნეობის კლასტერში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი;
- კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და შრომის ბაზრის კვლევის შედეგები;
- სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და პერსონალის გამოკითხვის კითხვარის ფორმები;
- ინტერვიუები ვიზიტის დროს;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია სტუდენტების გამოკითხვაში დაემატოს რამდენიმე ღია შეკითხვა. ეს შეიძლება მიმზიდველი იყოს ზოგიერთი სტუდენტისთვის, ვისაც სურს საკუთარი თავი ნარატივის საშუალებით გამოხატოს.
- სასურველია დაწესებულებამ გააძლიეროს თანამშრომლობა დამსაქმებლებთან მოცემული სასწავლო პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით.

შეფასება

კომპონენტი 5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 3 კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 4 სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 5 ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა	X	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 სახვითი ხელოვნების" საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 3 კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 4 სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 5 ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა	X	☐	☐	☐

დანართი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) -

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდება, საფეხურები:
„ხელოვნებათმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
„სახვითი ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
„კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
„სახვითი ხელოვნების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
„ხელოვნებათმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

სარჩევი: სტანდარტი	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი
პროგრამა 1 ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 3 კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის სამაგისტრო პროგრამა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 4 სახვითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 5 ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ხელმოწერები

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

რამუნე ბალევიჩიუტე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ლეილა გრიგოლია

ლევან ხარაზიშვილი

გიგა ხოსიტაშვილი

სოსო გაზდელიანი